4.1.2.2	ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მასწავლებლის პირადი საქმეში არ იყო განთავსებული ცნობა „სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, რომლის ვალდებულება განსაზღვრულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლით - პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში/კოლეჯში არ შეიძლება დასაქმდეს „სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.	აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 4.1.2.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 6 თვე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ცნობებით „სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ პირადი საქმეების შევსებას. რათა აკადემიის პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფდეს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვას და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულების მხრიდან მოხდა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, (ცნობები „სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ.“) თუმცა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის შესაბამისად, ვერ მოხდა ექსპერტთა მხრიდან დოკუმენტების შესწავლა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნება უშუალოდ ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში ადგილზე დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, შესაბამისად დასკვნის მომზადების ეტაპზე, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს ვიზიტისას დაფიქსირებული მდგომარეობა.
4.1.2.3	პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით, დოკუმენტაციის შესწავლითა და პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ აკადემია ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა შესაბამისობას დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ვინაიდან აკადემიის დებულებით, ასევე პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით არ არის განსაზღვრული ერთ-ერთ საშტატო ერთეულზე დასაქმებული პირის, კერძოდ პროფესიული სტუდენტის რეესტრის წარმოების სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.	აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 4.1.2.3 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 6 თვე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ცვლილებებს აკადემიის დებულებაში, სტრუქტურაში, საშტატო განრიგსა და პერსონალის სამუშაო აღწერილობებში, რათა პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდეს დაკავებულ თანამდებობას.	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულების მხრიდან მოხდა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, (ცვლილება აკადემიის დებულებაში, სტრუქტურაში, საშტატო განრიგსა და სამუშაო აღწერილობებში.) თუმცა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის შესაბამისად, ვერ მოხდა ექსპერტთა მხრიდან დოკუმენტების შესწავლა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:








			უმჯობესდეს ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში ადგილზე დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, შესაბამისად დასკვნის მომზადების ეტაპზე, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეეცვალოს ვიზიტისას დაფიქსირებული მდგომარეობა.
5.1.1.8	აკადემიაში ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა რომ, მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარადემა წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, თუმცა შშმ პირებისთვის არ არის ადაპტირებული რადგან კარის ლიობი 90 სმ-ზე ნაკლებია. ეტლი ვერ შეეტევა. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით შშმ პირებისათვის სივრცის მოწყობის და არქიტექტურული დაგეგმარებაში აღწერილია რომ, ლიობი უნდა იყოს 1.9., ასევე ლიობზე დაფიქსირებული დაბრკოლება ვერ უზრუნველყოფს შშმ პირების გადაადგილებას დამოუკიდებლად.	აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 5.1.1.8 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 6 თვე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს კარის ლიობის შესაბამისობაში მოყვანა ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. რათა პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას იყოს ხელმისაწვდომი ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს.
5.1.1.2	აკადემიის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე, არსად არ არის მოწყობილი საერთო სარგებლობის სივრცეები სტუდენტებისათვის, სადაც სტუდენტები შეძლებენ სპორტულ/შემოქმედებით საქმიანობის განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრების დროს, აკადემიის ხელმძღვანელობამ დაადასტურა რომ, გეგმავს არნიშნული სივრცეების მოწყობას სამომავლოდ.	აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 5.1.1.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 6 თვე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ფართის გამოყოფას და სივრცის შესაბამისად მოწყობას. რათა საერთო სარგებლობის სივრცეები იყოს ხელმისაწვდომი პროფესიული სტუდენტებისთვის; აკადემიის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე, მოეწყოს სივრცეები სტუდენტებისათვის, სადაც ისინი შეძლებენ სპორტულ/შემოქმედებით საქმიანობის განხორციელებას.	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს.
2.2.1.6 ყველა პროგ. ფარგლ.	აკადემიის ინფრასტრუქტურა, კერძოდ სველი წერტილები ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N 732 დადგენილების „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მე-5 მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N 41 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, და ახალი დადგენილების 404.2.2 პუნქტის მიხედვით „გზა-კარის თავისუფალი ლიობი უნდა იყოს არაუმცირეს 820 მმ სიგანის. ორმხრივ მოძრავე კარებიანი გზა-კარის თავისუფალი ლიობის სიგანე	აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.6 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 6 თვე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს კარის ლიობის შესაბამისობაში მოყვანა ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


	უნდა გაიზომოს კარის პირიდან გაჩერების ადგილამდე, როდესაც კარი ღიაა 90 გრადუსით. ღიობებს, კარსა და უკარო გზა-კარს, რომელთა სიღრმე 600მმ-ია, უნდა ჰქონდეს არაუმცირეს 900 მმ სიგანის თავისუფალი ღიობი. ასევე, 404.2.4. პუნქტის თანახმად, გზა-კარების ზღურბლები დასაშვებია იყოს არაუმეტეს 13 მმ. სიმაღლის, ამავდროულად გზა-კარებთან შეცვლილი დონეები და ზღურბლები უნდა შეესაბამებოდეს 302-ე და 303-ე ქვეთავებს. ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ აკადემიაში შეძლებისდაგვარად შექმნილია ადაპტირებული სასწავლო სივრცეები, თუმცა სასწავლო გარემო სრულად არ არის ადაპტირებული შშმ პირების თავისუფლად გადაადგილებისათვის.	რათა პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას იყოს ხელმისაწვდომი ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.	
2.2.1.2 ყველა პროგ. ფარგ.	დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან 1 წლის ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლის მოქმედების ვადაც ნაკლებია როგორც პროგრამის ხანგრძლივობაზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადაზე, რაც ვერ უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.	აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 6 თვე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს წინარე ხელშეკრულების ნიმუშის შემუშავება დამტკიცებას, ახალი შრომითი ხელშეკრულების შემუშავებას, რომელიც დააკმაყოფილებს საქართველოს შრომის კოდექსს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებას (N159/5 2024 წლის 15 ოქტომბერი ქ.თბილისი, პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაცვების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ) ასევე ცნობებით „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ: პირადი საქმეების შევსება, რათა პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულების მხრიდან მოხდა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, (დამტკიცებული წინარე ხელშეკრულების ნიმუშები.) თუმცა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის შესაბამისად, ვერ მოხდა ექსპერტთა მხრიდან დოკუმენტების შესწავლა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნება უშუალოდ ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში ადგილზე დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, შესაბამისად დასკვნის მომზადების ეტაპზე, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეეცვალოს ვიზიტისას დაფიქსირებული მდგომარეობა.
2.2.1.3 სკოლ. განათ.	მოდულის „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვებთან მუშაობა“ განხორციელების კვალიფიკაცია და პროფესიული კომპეტენცია არ შეესაბამება მოდულის სწავლის შედეგების მიღწევას და შეფასების მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პირს აქვს სკოლამდელ დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება მუსიკის მასწავლებლის პოზიციაზე, აღნიშნული გამოცდილება ვერ უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული კომპეტენციების გადაცემას. მოდულის ეფექტიანი განხორციელებისათვის აუცილებელია სპეციალური განათლების, ფსიქოლოგიის, ან ინკლუზიური განათლების სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტის ჩართულობა.	აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.3 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 6 თვე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი განათლების დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის ან და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირთან და ფსიქოლოგიის, ინკლუზიური განათლების კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტთან ხელშეკრულების გაფორმება.	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულების მხრიდან მოხდა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, (შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.) თუმცა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის შესაბამისად, ვერ მოხდა ექსპერტთა მხრიდან დოკუმენტების შესწავლა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნება უშუალოდ ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში ადგილზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







			დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, შესაბამისად დასკვნის მომზადების ეტაპზე, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს ვიზიტისას დაფიქსირებული მდგომარეობა.
2.2.1.5 შრომ. უსაფ. და გარემო. დაცვის ტექნო.	არსებული სახელმძღვანელოების ფონდი ვერ უზრუნველყოფს საჭირო სრულ ლიტერატურულ რესურსს პროფესიული სტუდენტისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელია საბიბლიოთეკო რესურსის უზრუნველყოფა შესაბამისი ელექტრონული და მატერიალური სახელმძღვანელოებით.	აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.5 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 6 თვე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს წიგნადი ფონდის შევსებას დასკვნის პროექტში მითითებული ლიტერატურის შესაბამისად.	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს.
2.2.1.1 საბაჟ. საჰმე	დოკუმენტაციის შესწავლითა და გასაუბრებით დადგინდა, რომ აკადემიას ამ ეტაპზე არ აქვს დაშვება შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეკლარირების ელექტრონულ სისტემაზე (E-customs-ის სატესტო სერვერზე). დაწესებულების განმარტებით, ამ მიმართულებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები შემოსავლების სამსახურთან. წვდომის არარსებობა მოცემულ მომენტში შეუძლებელს	აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.1 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 6 თვე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ხელშეკრულებების გაფორმებას იმ კომპანიებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: დაშვება შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეკლარირების ელექტრონულ სისტემაზე (E-customs-ის სატესტო სერვერზე).	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს, აქტივობებს და შესრულების ინდიკატორებს. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულების მხრიდან მოხდა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, (კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები). თუმცა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის შესაბამისად, ვერ მოხდა ექსპერტთა მხრიდან დოკუმენტების შესწავლა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნება უშუალოდ ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში ადგილზე დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, შესაბამისად დასკვნის მომზადების ეტაპზე, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს ვიზიტისას დაფიქსირებული მდგომარეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აკადემიამ გაიზიარა და წარმოადგინა განმავითარებელი რეკომენდაციის არგუმენტირებული პოზიცია:

რეკომენდაცია: ინდიკატორი 2.2.1.2 (პროგრამა „ფარმაცია“ (სააფთიაქო) – ერთი პროფესიული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა, პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქოზე) „ ახორციელებს 4 საკვანძო მოდულს (ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები“; „ნივთიერებათა იზოლირება „ , ანალიზური ქიმიის საფუძვლები“; „ფარმაცევტული ანალიზი-1 „ და „ფარმაცევტული ანალიზი-2“. ყველა ეს მოდული სხვადასხვა დროს და ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს. იგივე მასწავლებელი არის განმახორციელებლად პროგრამა „ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ მოდულზე „ნარჩენების მართვა“.

განმახორციელებელი მასწავლებლობის პარალელურად იგივე პირი არის სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელი.

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია (რამდენადაც სწავლა ჯერ არ დაწყებულა) დაამატოს სხვა მასწავლებლები აღნიშნულ მოდულებზე და სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს ადმინისტრაციული თანამდებობაზე დაკისრებული ვალდებულებების ხარისხიანი შესრულება.

არგუმენტირებული პოზიცია: აკადემიის დირექტორის ბრძანებით (N 01-40 22 ივლისი) შინაგანაწესში განხორციელდა ცვლილება.

კერძოდ, თავი 6 „სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო“. პუნქტი 4. „ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის აკრძალულია 15 საათზე მეტი საკონტაქტო საათის ჩატარება. აქედან მინიმუმ 6 საათი უნდა ჩატარდეს შაბათს, რაც არ ჩაითვლება ზეგანაკვეთური სამუშაოდ“. აკადემიის მიერ გაზიარებულია განმავითარებელი რეკომენდაცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში


1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები



2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.1.1.1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის მისია შესაბამისობაშია პროფესიული განათლების მიზნებთან. აკადემიის მისია: აჭარის რეგიონზე მორგებული და საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული პროფესიული განათლების მექონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება, პროფესიული განათლებისა და უწყვეტი განათლების პოპულარიზაცია, ხარისხზე ორიენტირებული სერვისების გაწევა მომხმარებელთათვის. **აქედან გამომდინარე ინდიკატორი 1.1.1.1 შესაბამისია**

1.1.1.2 მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;


მისიით განსაზღვრულია აკადემიის საქმიანობის ის ძირითადი მიმართულებები, რომელსაც შრომისა და დასაქმების ბაზარი განსაზღვრავს აჭარის რეგიონში. კვლევის შედეგები, აჭარისა და ბათუმის სტრატეგიული განვითარების გეგმა 13 ძირითადი ორიენტირია აკადემიის პრიორიტეტებისა და მიმართულებების/ პროფილის განსაზღვრაში, შესაბამისად მრავალპროფილური აკადემიის როლი და მახასიათებლები საკუთარ ადგილს დაუმკვიდრებს აკადემიას პროფესიული განათლების სისტემაში. **აქედან გამომდინარე ინდიკატორი 1.1.1.2 შესაბამისია**

1.1.1.3 დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

აკადემიამ მისიიდან გამომდინარე განსაზღვრა აკადემიის ხედვა და ღირებულებები. აკადემია 2031 წლისთვის იქნება ქვეყნისა და აჭარის რეგიონის საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული დამოუკიდებელი, მრავალპროფილური პროფესიული განათლების დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხარისხის მდგრად განვითარებასა და გაუმჯობესებას. აკადემია იხელმძღვანელებს სწავლის პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და მისი საქმიანობა დაეყრდნობა შემდეგ ღირებულებებს: ობიექტურობა - აკადემიის მიერ დადგენილი რეგულაციებით უზრუნველყოფილი იქნება აკადემიის საქმიანობაში ჩართული პირების მიუკერძოებლობა და დაიცავს დაინტერესებულ მხარეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საუკეთესო ინტერესებს; რამდენადაც აკადემიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, აკადემიის მიერ დადგენილ წესებთან/ რეგულაციებთან, უკვე საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის; აკადემია ღიად ითანამშრომლებს დაინტერესებულ მხარეებთან სიახლეების მისაღებად, წინადადებებისა და განსხვავებული პოზიციების შესაჯერებლად შესაძლო პრობლემების გადაჭრის მიზნით; აკადემია სისტემატურად შეაფასებს თავის საქმიანობას და შეფასების ანალიზის საფუძველზე დაგეგმავს განვითარების გზებს. **აქედან გამომდინარე ინდიკატორი 1.1.1.3 შესაბამისია**

1.1.1.4 მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროაა ხელმისაწვდომი.

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ განთავსებულია აკადემიის ვებ გვერდზე და საჯაროაა ხელმისაწვდომი.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 1.1.1.4 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებები
- ✓ შეხვედრების ოქმები
- ✓ აკადემიის ვებგვერდით bva.edu.ge

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2.1.1 პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

სტრატეგიული დაგეგმვის და გადახედვის ინიცირება ხდება აკადემიის დირექტორის მიერ მოქმედი სტრატეგიული გეგმის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 3 თვით ადრე ან შესაბამის სამართლებრივ/ფაქტობრივ გარემოებათა ცვლილებისას აღნიშნულ გარემოებათა წარმოქმნიდან გონივრულ ვადაში. სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი მოიცავს ოთხ ძირითად ეტაპს:

- ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი;
- სტრატეგიული გეგმის შემუშავება/რევიზია;
- სამოქმედო გეგმის შემუშავება/განახლება;
- სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება.

სტრატეგიული დაგეგმარების პირველი ეტაპი მოიცავს აკადემიის პერსონალის, ბენეფიციარებისა და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას აკადემიის შიდა პროცესების, დამოკიდებულებებისა და ხედვების შესახებ. ასევე, შიდა დოკუმენტაციისა და გარე მარეგულირებელი დოკუმენტაციის დამუშავება. დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სამუშაო ჯგუფი და განისაზღვრება ჯგუფის ხელმძღვანელი. სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის შეხვედრები იმართება გარკვეული პერიოდულობით საჭიროებისამებრ; სტრატეგიული დაგეგმვა მისიის, ხედვის, ღირებულებების და SWOT ანალიზის შემუშავებით იწყება. აკადემიის შესაძლებლობებისა და გარემოს ანალიზზე დაყრდნობით, სამუშაო ჯგუფი განიხილავს სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებს, რომლის განხორციელებაც მნიშვნელოვანია 7 წლის განმავლობაში. დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფი განიხილავს სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმის საბოლოო ვარიანტს და დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ემსახურება სტრატეგიული მიზნების მიღწევას. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის დროს მნიშვნელოვანია პრობლემის იდენტიფიცირება და მათი ნეგატიური გავლენის ნეიტრალიზება/რეაგირება. ყოველი წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ იწერება წლიური ანგარიში.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 1.2.1.1 შესაბამისია

1.2.1.2 სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

აკადემიის სტრატეგიული განვითარების (2026 – 2032) გეგმის პროექტს საფუძვლად დაედო აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები. შეიქმნა დირექტორის ბრძანებით სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრები არიან დირექტორი, დირექტორის მადგილე, სასწავლო პროცესის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და პარტნიორი ორგანიზაციათა წარმომადგენლები, სამუშაო ჯგუფის შეხვედრები იმართება გარკვეული პერიოდულობით საჭიროებისამებრ; მუშავდება სტრატეგიული განვითარების პროექტი საჯარო განხილვის. შეჯერებული დოკუმენტი შენიშვნებისა და კომენტარების გათვალისწინებით გადაეცემა დირექტორს დამტკიცების მიზნით.



აქედან გამომდინარე ინდიკატორი 1.2.1.2 შესაბამისია

1.2.1.3 დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნებს დასახული მიზნის მიღწევის გზებს, განსახორციელებელ ქმედებებს, განხორციელების ვადებს, განმახორციელებელი სტრუქტურებსა და პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ინდიკატორებსა და მოსალოდნელ შედეგებს. სტრატეგიული განვითარების გეგმით (2026 – 2032) განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები დასახული მიზნის მიღწევის გზები, განსახორციელებელი ქმედებები, განხორციელების ვადები, განმახორციელებელი სტრუქტურები და პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მოსალოდნელი შედეგები. სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს სამ ძირითად მიზანს: სტრატეგიული მიზანი N1 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და დამსაქმებლებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება; სტრატეგიული მიზანი N2 - სტუდენტური სერვისების/საქმიანი ურთიერთობების მუდმივი გაუმჯობესება; სტრატეგიული მიზანი N3 - ინფრასტრუქტურისა და პერსონალის კარიერული განვითარების მუდმივი გაუმჯობესება. 2026 წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას აკადემიამ განსაზღვრა განსახორციელებელი აქტივობები და საჭირო რესურსები სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად. აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026 – 2032) და სტრატეგიული ამოცანები შესაბამისობაშია აკადემიის მისიასთან.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 1.2.1.3 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ✓ 2026 წლის სამოქმედო გეგმა
- ✓ მონიტორინგისა და შეფასების რუკა;
- ✓ ვებგვერდი bva.edu.ge


1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2.2.1 პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

აკადემიას მისიის საფუძველზე შემუშავებული აქვს 7 წლიანი განვითარების სტრატეგია, რის საფუძველზეც მუშავდება და მტკიცდება ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულებაში მონაწილეობს აკადემიის ყველა თანამშრომელი საკუთარი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში. გეგმების შესრულების კონტროლსა და პერიოდულ მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი. ხარისხის მართვის მენეჯერი მონიტორინგის შედეგებს წარუდგენს დირექტორს. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება 3 წელიწადში მინიმუმ ერთხელ. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ ან საჭიროებისამებრ. მონიტორინგის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი აკეთებს ანალიზს. ანალიზში გაიწერება ინფორმაცია: სტრატეგიული/სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების/არშესრულების შესახებ, დასახული ვადების დარღვევის შესახებ, შეუსრულებელი სამუშაოს ჩამონათვალი. ანალიზში მოცემულია ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, დასახული ამოცანების ვერ/არ შესრულების მიზეზები, რეკომენდაციები.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 1.2.2.1 შესაბამისია

1.2.2.2 პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

აკადემიას შემუშავებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების რუკა, რაც იძლევა საშუალებას, აკადემია დაეყრდნოს სანდო მტკიცებულებებს. რუკაზე ასახული იქნება რომელი აქტივობაა შესრულებული ან არ/ვერ შესრულებული შესაბამისი რეაგირებისათვის. მაგალითად: გეგმის კორექტირება, ჩანაწერების დაზუსტება.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 1.2.2.2 შესაბამისია

1.2.2.3 სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.




აკადემია უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. ანგარიშები გამოქვეყნდება აკადემიის ვებ გვერდზე.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 1.2.2.3 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ✓ 2026 წლის სამოქმედო გეგმა
- ✓ მონიტორინგისა და შეფასების რუკა;
- ✓ ვებგვერდი bva.edu.ge

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, კერძოდ: შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვასა და შესაბამისი გარანტიების უზრუნველყოფას. მათ შორისაა:

- „ბათუმის პროფესიული აკადემიის შინაგანაწესი“;
- „ბათუმის პროფესიული აკადემიის დებულება“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- „პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი“;
- „სტუდენტთა ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები“;
- აკადემიის დირექტორის სოციალურად მოწყვლადი პროფესიული სტუდენტების კატეგორიის განსაზღვრის შესახებ ბრძანები“;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი“
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეიმუშავების წესი“;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტს აქვს სრული უფლება მიიღოს მის ინტერესებზე მორგებული, ხარისხიანი პროფესიული განათლება და აქტიურად იყოს ჩართული როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში. აკადემიის შიდა რეგულაციებისა და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სტუდენტისთვის გარანტირებულია შემდეგი უფლებები:

- მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება;
- გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
- მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერი საკითხის შესახებ;
- აკადემიის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აკადემიის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N01-12 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 10 ივნისის N01-32 ბრძანებით), რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტის სტატუსის შეჩერების, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, პროფესიული სტუდენტის შიდა და გარე მობილობის, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის საკითხებს, ასევე სასწავლო პროცესის მართვასა და უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხებს და სხვ. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 16 აპრილის N11 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა, რომელზეც პროფესიული სტუდენტი აკადემიასთან ხელშეკრულების გაფორმებისას გაეცნობა თავის უფლებებს.



სასწავლო პროცესის მენეჯერმა და ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებმა ინტერვიუს შედეგებით დაადასტურეს, რომ სტუდენტებს მიაწვდიან ინფორმაციას იმ დოკუმენტების შესახებ, სადაც დაცულია მათი უფლებები. მიიღებენ განმარტებებს ხელშეკრულების თაობაზე, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტისა და აკადემიის უფლება-მოვალეობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.1 შესაბამისია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, კერძოდ: ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N01-12 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 10 ივნისის N01-32 ბრძანებით), რომლის მე-VI თავით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები. ინდივიდუალური კონსულტირების გარდა, პროფესიული სტუდენტებისათვის მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობისა და სარგებლობის შესაძლებლობის თაობაზე, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების მიზნით, აკადემია მოაწყობს პერიოდულ შეხვედრებს როგორც პროფესიული სტუდენტებთან. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებას ახდენს კარიერული განვითარების კოორდინატორი და ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრას დაესწრება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული მასწავლებლები. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის მიზანია პროფესიულ სტუდენტები გაეცნონ საკუთარ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

აღნიშნული დასტურდება ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N01-08 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით (ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 14 ივნისის N01.33 ბრძანებით), ასევე ადმინისტრაციის პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით.


ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.2 შესაბამისია;

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით, კერძოდ: პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას არეგულირებს აკადემიის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N01-12 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, კერძოდ წესის მე-VII თავით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა. პროფესიულ სტუდენტებს შეფასების სისტემის შესახებ პირველადი ინფორმაცია მიეწოდებათ საორიენტაციო შეხვედრაზე. პროფესიული განათლების მასწავლებელი განმსაზღვრელ შეფასებაში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (სწავლის შედეგი დადასტურდა/სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა) შესაფასებელ პირს აცნობს შეფასების თარიღიდან 3 სამუშაო დღის ვადაში; უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს ზემოაღნიშნული უფლების რეალიზების საშუალება ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში ეძლევა მხოლოდ ორჯერ. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. დირექტორის ბრძანებით შეიქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია, რომელიც აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას. კომისიის გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

სწავლის პროცესში პროფესიულ სტუდენტებს შეფასების სისტემისა და კონკრეტული სახის შეფასების პროცესის შესახებ ინფორმაციას აწვდიან პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და თანახელმძღვანელები და სასწავლო პროცესის მენეჯერი. აღნიშნული საკითხი დასტურდება ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N01-08 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით და პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.3 შესაბამისია;

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტსა და აკადემიას შორის ფორმდება ხელშეკრულება, სწავლის დაწყების თარიღამდე. ხოლო ხოლო არასრულწლოვანი პირის ან კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში, რა დროსაც პროფესიული სტუდენტი არ არის უფლებამოსილი დადოს სამართლებრივი გარიგება, მის კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარ განსაზღვრულ ვადებში აკადემია გააფორმებს ხელშეკრულებას.

ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრულია, მხარეების შესახებ ინფორმაცია, ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, აკადემიისა და პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მხარეთა პასუხისმგებლობა, დავის გადაწყვეტის წესი სხვა პირობები და დასკვნითი დებულებები. ვინაიდან, აკადემიის მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ხელშეკრულების იმ მუხლში, რომელიც არეგულირებს სწავლის საფასურის გადახდის საკითხებს, მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით; 2. პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური ანაზღაურდება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მოდულების შესაბამისად“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აღნიშნული საკითხი დასტურდება აკადემიის დირექტორის 2026 წლის 16 აპრილის N11 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.4 შესაბამისია;

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთან ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ: ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის 10 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი, რომლის მე-7 მუხლი არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა – შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმაა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა კომპონენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. ისგ საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი დაიგეგმოს პროფესიული სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად. ისგ შემუშავების მოთხოვნით პროფესიული სტუდენტი/ მსმენელი განცხადებით მიმართავს აკადემიის დირექტორს.


ისგ-ს შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი და წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელიც ამოწმებს და ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციების/შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უბრუნდება პროგრამის ხელმძღვანელს მითითებული რეკომენდაციების/შენიშვნების გასათვალისწინებლად. ხარისხის მართვის მენეჯერის დადებითი შეფასების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად გადაეცემა აკადემიის დირექტორს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.5 შესაბამისია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




1. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 02 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული აკადემიის დებულება;
2. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N01-12 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
3. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 30 მარტის N07 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
4. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 16 აპრილის N11 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა“;
5. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N01-08 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
6. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის 10 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი;
7. ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
8. სოციალურად მოწყვლადი პროფესიული სტუდენტების კატეგორიის განსაზღვრის შესახებ სოციალური პროგრამის, სოციალური სტიპენდიისა და სხვა სახის წახალისების განხორციელების წესი;
9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი;
10. პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი;
11. სტუდენტთა ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმი;
12. ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
13. პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



□ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურებას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:


1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, კერძოდ:

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტის კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, რომლითაც რეგულირდება სტუდენტთა პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და შემდგომი კარიერული წინსვლის მხარდაჭერი ღონისძიებები. ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის აკადემიური უნარების გაუმჯობესების მიზნით, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ კონსულტირებას (კონფიდენციალურობის დაცვით).

პროფესიული სტუდენტი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მიიღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის განსახორციელებლად დაწესებულება გამოიყენებს შემდეგ მექანიზმებს: პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას გაუწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალსაზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს; პროფესიული განათლების მასწავლებლები, პერიოდულად, ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ, ორგანიზებას გაუწევენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფურ შეხვედრებს, რომლის ფარგლებში პროფესიული სტუდენტები ერთმანეთს უზიარებენ სასწავლო პროცესში მიღებულ გამოცდილებას და მსჯელობენ იმ საკითხების შესახებ, რომლებიც განვლილი პერიოდის განმავლობაში მათთვის ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენდა; აღნიშნული დასტურდება აკადემიის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N01-08 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით ასევე ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.1 შესაბამისია;

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ:

აკადემიის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N01-08 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაცია სოციალიზაციაზე პასუხისმგებელი პირებია: სასწავლო გარემოს შესახებ სასწავლო პროცესის მენეჯერი, უსაფრთხოების შრომის სპეციალისტი, ხოლო სტუდენტური ცხოვრების შესახებ - სტუდენტური სერვისების კოორდინატორი. ახლად ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესაძლებლობების წარმატებით გამოვლენისათვის და აკადემიასთან ადაპტაციის პროცესი სოციალიზაციის ხელშეწყობისათვის აკადემიას განსაზღვრული აქვს სხვადასხვა მეთოდები

ა) პირველი შეხვედრა აკადემიასთან - პირველი სასწავლო დღე პროგრამის ხელმძღვანელთან, დირექტორთან და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან შეხვედრა; მოკლე შეხვედრის ფარგლებში დირექტორი ესაუბრება სტუდენტს აკადემიაში დამკვიდრებულ წეს ჩვეულებებზე, კულტურის საკვანძო ღირებულებებსა და სხვა ზოგად თემებზე;

ბ) აკადემიის ინფრასტრუქტურის გაცნობა ახალი სტუდენტებისთვის - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერის მიერ მოკლე ექსკურსიის განხორციელება აკადემიის შენობაში, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო აუდიტორიებსა და ლაბორატორიებს, დათვალიერებას.


გ) თანამშრომლებისა და პროფესიული მასწავლებლების გაცნობა - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი უზრუნველყოფს სტუდენტების, ადმინისტრაციულ პერსონალისა და მასწავლებლების შეხვედრას და გაცნობას;

დ) მენტორი თანამშრომლების გამოყოფა - სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით მენტორები რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველმხრივ დაეხმარებიან სტუდენტებს ადაპტაციის პროცესში, პასუხობს მის შეკითხვებს, აცნობს მნიშვნელოვან დოკუმენტებს; მენტორი შესაძლებელია იყოს სასწავლო პროცესის მენეჯერი, სტუდენტური სერვისების კოორდინატორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის და კარიერული განვითარების კოორდინატორი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ე) შიდა ნორმებსა და რეგულაციებს სტუდენტებს გააცნობს სასწავლო პროცესის მენეჯერი.

ვ) საკონტროლო შეხვედრა - სტუდენტები ხვდებიან აკადემიის დირექტორსა და პროგრამის ხელმძღვანელს და მათთან ერთად განიხილავენ აკადემიაში სწავლის განვლილ პერიოდს, იმ გამოწვევებზე რაც სტუდენტს დაუდგა სწავლის პერიოდში. საუბარი იქნება მეგობრული სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით; აღნიშნული დასტურდება პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.2 შესაბამისია;


3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, კერძოდ: აკადემიის დირექტორის 2026 წლის 02 მარტის N2 ბრძანებით დამტკიცებულია აკადემიის დებულება, რომლითაც განსაზღვრულია აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა გონივრულ ადმინისტრაციულ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირები და პროცედურები. აკადემია სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერას განახორციელებს გონივრულ ვადებში. აკადემიის სერვისები ხელს უწყობს სტუდენტის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. პატივს სცემს მის არჩევანს და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპების გამოყენებას. აკადემიაში საქმისწარმოება ავტორიზაციის შემდგომ განხორციელდება eFlow გამოყენებით. eFlow მეშვეობით მოხდება აღრიცხვა შემოსული და გასული კორესპონდენციების. ელექტრონულად და მატერიალურად დარეგისტრირდება პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნები და ამავე სისტემაში იქნება აღრიცხული აკადემიის მიერ გაცემული ცნობები, წერილები და სხვა სახის უკუკავშირი. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების მენეჯერი, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სტუდენტური სერვისების კოორდინატორი, აღნიშნული დასტურდება აკადემიის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N01-08 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით და პერსონალთან გასაუბრების შედეგებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.3 შესაბამისია;

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, კერძოდ: აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, რომლითაც რეგულირდება შემდეგი საკითხები: საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული, კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები; პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესი; სტუდენტური ინიციატივების აქტიურ მხარდაჭერა სამართლიანობის, ობიექტურობისა და გამჭირვალობის პრინციპების დაცვით; აკადემია საკუთარი ინიციატივითაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა არაფორმალურ აქტივობათა დაგეგმვა- განხორციელებას. აღნიშნული დასტურდება სტუდენტური სერვისების კოორდინატორთან ინტერვიუს შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.4 შესაბამისია;

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურებას, კერძოდ: აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შემუშავებულია PDCA პრინციპით. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 აპრილის N14 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები, რომლითაც გათვალისწინებულია შემდეგი: პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა კმაყოფილების კვლევა; პროფესიულ სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება; კურსდამთავრებულთა მიერ სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება; პროფესიულ სტუდენტთა მიერ პრაქტიკის ობიექტზე სასწავლო პროცესის შეფასება; პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის საჭიროებების კვლევა;

აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერი, აკადემიის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით, კითხვარების (ადმინისტრაცია, პროფესიული მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პარტნიორები) ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელების მონიტორინგს. რაც დასტურდება აკადემიის სამუშაო აღწერილობებით და ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუს შედეგებით.


ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.5 შესაბამისია;

დასტურდება (მტკიცებულებები)

1. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N01-08 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
2. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 აპრილის N14 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;
3. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 02 მარტის N2 ბრძანებით დამტკიცებულია აკადემიის დებულება;
4. პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები;
5. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის 10 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება



1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის, კერძოდ:** აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დამტ. 20.04.2026წ. N01-12.) მე-VI თავით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, სადაც გაწერილია, რომ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერი საკითხის შესახებ, პროფესიულ სტუდენტთა მიერ კარიერული ნაბიჯების წარმატებით გადადგმის ხელშეწყობის მიზნით, აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების კოორდინატორი და ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი მათ კონსულტირებას რეგულარულად გაუწევს, რაც ხორციელდება როგორც აკადემიის მხრიდან პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებათა შესწავლის საფუძველზე, აგრეთვე, პროფესიული სტუდენტის მიერ მომართვის შემთხვევაშიც, აღნიშნული ასევე დაადასტურა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების კოორდინატორმა ექსპერტებთან ინტერვიუს დროს.

ყოველ წელს აკადემია პერიოდულად ჩატარებს შეხვედრებს სკოლებში, ორგანიზაციების ბენეფიციარებსა და სამუშაოს მაძიებლებთან, რაც ხელს უწყობს დაინტერესებული პირების დეტალურ ინფორმირებას აკადემიისა და მისი პარტნიორი დამსაქმებლების მიერ შემოთავაზებული სწავლებისა და დასაქმების პირობების შესახებ. აგრეთვე, აღნიშნულ ღონისძიებათა მეშვეობით ვრცელდება დაწესებულების მიერ განხორციელებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და შესაბამის პროფესიათა შესახებ დამატებითი ინფორმაცია. კონსულტირება გულისხმობს პროფესიული სტუდენტისათვის/სტუდენტებისათვის დასაქმების გზაზე გასავლელი ეტაპების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:    

ექსპერტებთან ჯგუფთან ინტერვიუებისას საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების კოორდინატორმა დეტალურად აღწერა დაწესებულების სამომავლო გეგმები პროფორიენტაციის მიმართულებით, პროფესიულ სტუდენტთა სურვილებისა და საჭიროებების მიხედვით, რეგულარულად შესთავაზებს პროფესიულ სტუდენტებს დამატებითი კურსების ჩატარების შესაძლებლობებს, რომელთა მეშვეობითაც პროფესიული სტუდენტები მიიღებენ ინფორმაციას კარიერული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითად, როგორებიცაა: როგორი უნდა იყოს რეზიუმე/cv, სამოტივაციო წერილი, როგორ უნდა მოახდინოს საკუთარი თავის წარდგენა ინტერვიუების ეტაპზე და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.2.1 შესაბამისია;

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, კერძოდ: აკადემიის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტით (დამტ. 03.04.2026 N01-08.) განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების კოორდინატორის ფუნქცია მოვალეობები, რომლის მოვალეობებში შედის: პროფესიული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევა პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების საკითხებზე, დამსაქმებლებთან რეგულარული ურთიერთობა და დამსაქმებელთა ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება, დამსაქმებლებთან მიზნობრივად შეხვედრების მოწყობა სტუდენტებთან დაკავშირების მიზნით; საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებისათვის დახმარების გაწევა სააპლიკაციო დოკუმენტებთან დაკავშირებით (CV, სამოტივაციო წერილის გადახედვა, რჩევები, რეკომენდაციები).



აკადემიის ხარისხის სისტემის უზრუნველყოფის მექანიზმებით გათვალისწინებულია კვლევების განხორციელება პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, რომლის მიზანია, განსაზღვროს თუ რამდენად შეესაბამება პროფესიული სტუდენტის მიერ გამომუშავებული პროფესიული უნარები დასაქმების სფეროს, საჭიროებენ თუ არა პროფესიული სტუდენტები დამატებითი პრაქტიკის გავლას, რამდენად შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა კომპეტენცია დამსაქმებელთა შესაბამისი პოზიციების მოთხოვნებთან, რამდენად საკმარისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისათვის და სხვა. შედეგები გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული ასევე დადასტურდა აკადემიის ხარისხის მენეჯერთან ინტერვიუს შედეგად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.2.2 შესაბამისია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. **პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით, კერძოდ:** ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოქმედებს PDCA პრინციპის გამოყენებით. ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების პრაქტიკაში რეალიზების მიზნით, აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 აპრილის N14 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, ასევე დასაქმების შესახებ ინფორმაციის მოკვლევის საკითხებს. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევა ჩატარდება წელიწადში ერთხელ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.2.3 შესაბამისია;

4. **კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, კერძოდ:** კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე აკადემია თავის საქმიანობაში გაითვალისწინებს კვლევების შედეგებს, რის საფუძველზეც გააუმჯობესებს კარიერული მომსახურების ხარისხს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.2.4 შესაბამისობაშია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 02 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული აკადემიის დებულება;
2. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N01-12 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
3. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 30 მარტის N07 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
4. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 16 აპრილის N11 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა“;
5. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N01-08 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
6. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის 10 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი;
7. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 5 მაისის N19 ბრძანებით დამტკიცებული „ბათუმის პროფესიული აკადემიის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;

50

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



8. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 აპრილის N14 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;
9. პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები;
10. სტუდენტთა ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები;
11. პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი;
12. ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. ადამიანური რესურსები


4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:


1. კსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, კერძოდ: აკადემია დირექტორის 2026 წლის 30 მარტის N7 ბრძანებით დამტკიცებულია აკადემიის შინაგანაწესი, ასევე აკადემიის დირექტორის 2026 წლის 2 მარტის N2 ბრძანებით დამტკიცებულია აკადემიის დებულება, რომლითაც განსაზღვრულია აკადემიის მართვის ორგანოები. აკადემიის მართვის ორგანოებს განეკუთვნება: დამფუძნებელთა კრება, რომლის უფლება-მოსილება განსაზღვრულია აკადემიის წესდებით; აკადემიის დირექტორი; დირექტორის მოადგილე; დამფუძნებელთა კრების უფლებამოსილება განსაზღვრულია აკადემიის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით. აკადემიას დამტკიცებული აქვს სტრუქტურა და სამტატო განრიგი. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ანგარიშვალდებულებების საკითხები რეგულირდება აკადემიის დებულებით, ასევე აკადემიის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N01-08 დამტკიცებული სამუშაო აღწერილობებით და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით (ცვლილება განხორციელდა აკადემიის დირექტორის 2026 წლის 14 ივნისის N01-33 ბრძანებით).

აკადემიის სტრუქტურის და სამუშაო აღწერილობების შესაბამისად, თანამშრომელთა ნაწილის ფუნქცია მოვალეობები არ არის განსაზღვრული, კერძოდ აკადემიას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება პროფესიული სტუდენტის რეესტრის წარმოების სპეციალისტთან, რომლის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ არის განსაზღვრული. ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრების დროს პროფესიული სტუდენტის რეესტრის წარმოების სპეციალისტმა და აკადემიის დირექტორმა დაგვიდასტურეს, რომ ის ნამდვილად არის ძირითად ანუ სამტატო ერთეულზე დასაქმებული პირი, აქვე სამუშაო აღწერილობების და აკადემიის დებულებით სასწავლო პროცესის მენეჯერის ფუნქციებში არის გაწერილი „უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N127/5, 22 ივლისი 2011წ. „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად და პასუხისმგებელია მის სწორად წარმართვაზე“, რაც ასევე დაადასტურა სასწავლო პროცესის მენეჯერმა ინტერვიუს დროს. აქედან გამომდინარე სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები საჭიროებს მკაფიოდ განსაზღვრას.

ინდიკატორი 4.1.1.1 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში (ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ექსპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 4.1.1.1 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ცვლილებებს აკადემიის დებულებაში, სტრუქტურაში, საშტატო განრიგსა და პერსონალის სამუშაო აღწერილობებში, რათა დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ განისაზღვროს. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

2. **პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, კერძოდ:** აკადემიის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N01-08 დამტკიცებულია სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა აკადემიის ყველა თანამშრომლის ფუნქციები არ არის განსაზღვრული, ფუნქცია-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს ვერ უწყობს აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვან განხორციელებას. აკადემიის ძირითადი და დამხმარე პროცესები არ არის დელეგირებული შესაბამისი სტრუქტურული და საშტატო ერთეულებისა და პერსონალისთვის, რომლებიც ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, კერძოდ აკადემიის სტრუქტურის და სამუშაო აღწერილობების შესაბამისად სასწავლო პროცესის მენეჯერის ფუნქცია მოვალეობებში გაწერილია: „ორგანიზებას უწევს ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებს“ ხოლო ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციებში საერთოდ არ არის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობა გაწერილი, აქვე სამუშაო აღწერილობების და აკადემიის დებულებით სასწავლო პროცესის მენეჯერის ფუნქციებში არის გაწერილი „უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N127/5, 22 ივლისი 2011წ. „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად და პასუხისმგებელია მის სწორად წარმართვაზე“, რაც ასევე დაადასტურა სასწავლო პროცესის მენეჯერმა ინტერვიუს დროს. აქედან გამომდინარე სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები საჭიროებს მკაფიოდ განსაზღვრას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.1.1.2 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 4.1.1.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ცვლილებებს აკადემიის დებულებაში, სტრუქტურაში, სამტატო განრიგსა და პერსონალის სამუშაო აღწერილობებში, რათა დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებამ ხელი შეუწყოს პდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

3. პდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 აპრილის N14 ბრძანებით დამტკიცებულია: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2026 წლის სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასება და შეფასების შედეგების პროცედურები, აკადემიაში ჩასატარებელი კვლევის მეთოდოლოგიები და შიდა კვლევებისა და შეფასების ფორმები. ხარისხის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრულია აქტივობები დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით. გეგმაში მოცემულია აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი და პროცესში ჩართული პირები, აქტივობების შესრულებისთვის საჭირო რესურსები.

აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტ. 2026 წლის 20 აპრილის N01-12 ცვლ. 10.06.2026 N01-32 ბრძანებით) არეგულირებს ვერიფიკაციის და ვალიდაციის პროცესებს, სადაც განსაზღვრულია პროცესზე პასუხისმგებელი პირები, თუმცა აკადემიის დებულებით, ასევე სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შესაბამისად ვერიფიკაციის და ვალიდაციის პროცესზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი. რაც არ გამორიცხავს ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერესთან კონფლიქტს.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერ რეგულაციებში, არც ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში, არც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებაში არ უნდა იკვეთებოდეს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების ინტერესთან კონფლიქტი.

დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა შეფასებას ვიზიტის დროს დაადასტურეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის და სასწავლო პროცესის მიმართულებით გეგმავენ ცვლილებებს და შიდა სტრუქტურაში გადაანაწილებენ პერსონალს, გამიჯნავენ მათ სამუშაო აღწერილობებს და ფუნქცია მოვალეობებს, ისე რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.1.1.3 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 4.1.1.3 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ცვლილებებს აკადემიის დებულებაში, სტრუქტურაში, სამტატო განრიგსა და პერსონალის სამუშაო აღწერილობებში, რათა დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს. ესპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.


დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემია დირექტორის 2026 წლის 30 მარტის N7 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის შინაგანაწესი“;
2. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 2 მარტის N2 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის დებულება“;
3. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N01-08 დამტკიცებული „სამუშაო აღწერილობებით და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
4. აკადემიის სამტატო განრიგი;
5. აკადემიის სტრუქტურა;
6. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 აპრილის N14 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2026 წლის სამოქმედო გეგმა;
7. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასება და შეფასების შედეგების პროცედურები;
8. აკადემიაში ჩასატარებელი კვლევის მეთოდოლოგიები;
9. შიდა კვლევებისა და შეფასების ფორმები.
10. ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

4.1.2 კსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

აკადემიის დირექტორის 2026 წლის 30 მარტის N7 ბრძანებით დამტკიცებული აკადემიის შინაგანაწესი, რომელიც, საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, არეგულირებს შემდეგ საკითხებს: შრომითი ურთიერთობებს; შრომითი ხელშეკრულებს; სამსახურში მიღების წესსა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას; სამუშაო, შესვენებისა და დასვენების დროს; დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობის გამონაკლისს შემთხვევებს; ზეგანაკვეთურ სამუშაოს; დასაქმებულის მიერ სამუშაო გაცდენილი დროის საპატიოდ ან არასაპატიოდ ჩათვლასა და სამსახურში გამოუცხადებლობას; შრომითი ურთიერთობის შეჩერებასა და შეწყვეტას; დასაქმებულის შვებულებას; დასაქმებულის მივლინებას; შეთავსებით მუშაობის უფლებას; აკადემიაში დასაქმებულის წესრიგის და ეთიკის ნორმების დაცვას; დასაქმებულის და დამსაქმებლის უფლება - მოვალეობებს; პასუხისმგებლობას; დავის განხილვასა და გადაწყვეტას; წახალისებას; დისციპლინური პასუხისმგებლობას; სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას; შრომის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგად წესებს; შრომით ანაზღაურებას; პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის უფლება მოვალეობებს; შინაგანაწესის გაცნობის წესს.

პერსონალის მართვის პროცესი დარეგულირებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტით. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს აკადემიის კვალიფიციური და პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებას. დოკუმენტში გაწერილია პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზნები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ამოცანები, პერსონალის საჭიროებების განსაზღვრა, პერსონალის მოზიდვა, ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, პერსონალის შეფასება, განვითარება, ტრენინგები, პერსონალის შენარჩუნება და წახალისება, თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია, თანამშრომლის გათავისუფლება, კორპორაციული ეთიკა. დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც არ არის შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ერთ-ერთი დანართი არის “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი“, სადაც მოცემულია მოდულის დასახელება და შესაბამისად განსაზღვრულია მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი. განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება ერთი წლის ვადით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების საგანს, რომელიც არასრულად განსაზღვრავს დასაქმებულების ვალდებულებებს. ზემოაღნიშნული წინააღმდეგობაშია საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მე-14 მუხლის მოთხოვნებთან, კერძოდ ამონარიდი შრომის კოდექსიდან მუხლი 14. შრომითი ხელშეკრულების შინაარსი, 1. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია: ე) თანამდებობა (არსებობის შემთხვევაში მიეთითება რანგი, თანრიგი, კატეგორია და სხვა) და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა.


ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა აკადემიის იურისტს და ადმინისტრაციულ პერსონალს, ხელშეკრულებების შინაარსთან და ვადებთან დაკავშირებით, პერსონალმა დაადასტურა, რომ ხელშეკრულებები ფორმდება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთი წლის ვადით, და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან აფორმებენ მომსახურების ხელშეკრულებას. რაც ვერ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას ავტორიზაციის ვადით.

დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას და დაგვიდასტურა, რომ უზრუნველყოფს შრომითი ხელშეკრულებების გადახედვას და გასწორებას საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 4.1.2.1 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს წინარე ხელშეკრულების ნიმუშის შემუშავება დამტკიცებას, ახალი შრომითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ხელშეკრულების შემუშავებას, რომელიც დააკმაყოფილებს საქართველოს შრომის კოდექსს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებას (N159/6 2024 წლის 15 ოქტომბერი ქ.თბილისი, პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ). რათა, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრული პირობების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

2. კსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

აკადემიის დირექტორის 2026 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებულია: 2026 წლის პერსონალის განვითარების გეგმა, პერსონალის ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს დაწესებულების ყველა კატეგორიის პერსონალის შერჩევის მიდგომებსა და პროცედურებს. პერსონალის შერჩევა ხორციელდება პირდაპირი შერჩევის გზით ან კონკურსის წესით; აკადემიის დირექტორის 2026 წლის 16 აპრილის N11 ბრძანებით დამტკიცებულია ბათუმის პროფესიული აკადემიის საქმისწარმოების წესი, რომლის შესაბამისად განსაზღვრულია პერსონალის მიღების პროცედურა და დოკუმენტების წარმოების წესები.



აკადემიის პერსონალის განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავებისას დირექტორის მიერ განისაზღვრება ახალი საშტატო ერთეულების საჭიროება, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს: ახალი ვაკანსიის/სტრუქტურული ერთეულის შექმნით, თანამშრომელთა გათავისუფლებით, დამატებითი ადამიანური რესურსების მოთხოვნით, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდით, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნით, სხვა გარემოებების შედეგად. საშტატო ცვლილებები შესაძლებელია უკავშირდებოდეს შესაბამისი საშტატო ერთეულის ფუნქციების ცვლილებას, მის მთლიანად გაუქმებას ან ცალკეული ფუნქციისა თუ მოვალეობის სხვა თანამშრომლებზე გადანაწილებას, ახალი საშტატო ერთეულების შემოღების შემდეგ აკადემია აცხადებს ვაკანსიას. პერსონალის სამსახურში მიღების გადაწყვეტილებას აკადემიის დირექტორი იღებს მხოლოდ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში. პერსონალი სამსახურში არ მიიღება, თუ ის არ აკმაყოფილებს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალთან, რომელიც სამუშაოდ მიიღება დროებით განსაზღვრული ვადით, კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის, შრომითი ურთიერთობები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით.

აკადემიის დირექტორი უფლებამოსილია პერსონალი მიიღოს გამოსაცდელი ვადით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რის შესახებაც აღინიშნება შესაბამის ბრძანებაში/შრომით ხელშეკრულებაში. სამსახურში მიღების პროცედურებია: სამსახურში მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



განსაზღვრა, კონკურსის ჩატარების შემთხვევაში კონკურსის ორგანიზება, საკონკურსო კომისიის შექმნა, კომისიის საქმიანობის განსაზღვრა, გასაჩივრების პროცედურები, სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალის განსაზღვრა, ხელშეკრულების გაფორმება და ა.შ.

პერსონალის შერჩევის მიზნით აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან/და დასაქმების შესაბამის ვებ-გვერდზე/ვებ-გვერდებზე ქვეყნდება ინფორმაცია შესაბამისი ვაკანსიის შესახებ, სადაც მითითებულია ვაკანსიის დასახელება, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, ვადები და სხვა პირობები;

პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიიღება ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის შერჩევის წესის შესაბამისად. ამ პროცედურის შემდეგ წარმოდგენილი საბუთების განხილვის შედეგად შერჩეული კანდიდატები გასაუბრებას გადიან წინასწარ შექმნილ კომისიასთან. გასაუბრების შედეგად კონკრეტულ პოზიციაზე შერჩეული კანდიდატი შესახებ აკადემიის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას აღნიშნული პირის ვაკანტურ პოზიციაზე დანიშვნის შესახებ და მასთან ფორმდება შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულება. ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს აკადემიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი, კერძოდ, აღნიშნული თანამშრომლის პირველივე სამუშაო დღეს ის გეგმავს და უზრუნველყოფს გაცნობით შეხვედრას აკადემიის პერსონალის ყველა წარმომადგენლის მონაწილეობით;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მასწავლებლის პირად საქმეში არ იყო განთავსებული ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, რომლის ვალდებულება განსაზღვრულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლით - პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში/კოლეჯში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევ პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 4.1.2.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ცნობებით „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ პირადი საქმეების შევსებას. რათა აკადემიის პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფდეს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვას დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია შემდეგი დოკუმენტებით:

- აკადემიის შინაგანაწესით;
- აკადემიის დებულებით;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;

ზემოაღნიშნული დოკუმენტების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით, დოკუმენტაციის შესწავლითა და პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ აკადემია ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა შესაბამისობას დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ვინაიდან აკადემიის დებულებით, ასევე პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით არ არის განსაზღვრული ერთ-ერთ საშტატო ერთეულზე დასაქმებული პირის, კერძოდ პროფესიული სტუდენტის რეესტრის წარმოების სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.1.2.3 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ექსპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გათვალისწინებულია აქტივობები 4.1.2.3 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ცვლილებებს აკადემიის დებულებაში, სტრუქტურაში, საშტატო განრიგსა და პერსონალის სამუშაო აღწერილობებში, რათა **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდეს დაკავებულ თანამდებობას**. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

აკადემიის დირექტორის 2026 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებულია: 2026 წლის პერსონალის განვითარების გეგმა, პერსონალის ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის შესაბამისად აკადემიას ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებაა გუნდური მუშაობა. გუნდური მუშაობის დროს ნათლად ვლინდება ორგანიზაციული კულტურა, რაც გამოიხატება საერთო მიზანში, ურთიერთდამოკიდებულებაში; კოლექტიური პასუხისმგებლობაში; ერთმანეთის მიმართ ნდობასა და ეფექტური კომუნიკაცია. თანამშრომელთა აქტიური ჩართულობით მოხდა აკადემიის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება, აკადემიის ყველა სტრუქტურული ერთეული იყო ჩართული აკადემიის სტრატეგიის შემუშავებაში, სამოქმედო გეგმების შემუშავებაში.

ავტორიზაციის თვითშეფასების პროცესში მონაწილეობას იღებდა თავიანთი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე თითოეული პერსონალი.

აკადემიის თანამშრომლებთან ინტერვიუთი დასტურდება თუ რამდენად მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებით ახორციელებენ ისინი თავიანთ საქმიანობას. აკადემიის ყველა თანამშრომელი გამოხატავს მოტივაციასა და მიზანდასახულობას.


ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.1.2.4 შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემია დირექტორის 2026 წლის 30 მარტის N7 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის შინაგანაწესი“;
2. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 2 მარტის N2 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის დებულება“;
3. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული 2026 წლის პერსონალის განვითარების გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





4. პერსონალის ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები;
5. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
6. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 16 აპრილის N11 ბრძანებით დამტკიცებული ბათუმის პროფესიული აკადემიის საქმისწარმოების წესი;
7. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N01-08 დამტკიცებული „სამუშაო აღწერილობებით და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
8. ხარისხის მართვის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა;
9. პერსონალის პირადი საქმე;

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

აკადემიის დირექტორის 2026 წლის 23 აპრილის N14 ბრძანებით დამტკიცებულია: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2026 წლის სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასება და შეფასების შედეგების პროცედურები, აკადემიაში ჩასატარებელი კვლევის მეთოდოლოგიები და შიდა კვლევებისა და შეფასების ფორმები. ხარისხის უზრუნველყოფის მიერ შემუშავებულ მექანიზმებში გათვალისწინებულია აკადემიის თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასება და მასზე დაყრდნობით განსაზღვრება პერსონალის განვითარების საჭიროება. შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს (ახალი სამოქმედო გეგმის შედგენამდე) და მოიცავს გასული სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას. შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პროფესიული ცოდნა და უნარები, კოლეგებთან კომუნიკაციის უნარი, სტუდენტებთან კომუნიკაციის უნარი, გუნდური მუშაობის უნარი, ინდივიდუალური მუშაობის უნარი, შესრულებული სამუშაოს მოცულობა, შესრულებული სამუშაოს ხარისხი, პერსონალური თვისებები, სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი, ეთიკური ნორმებისა და შინაგანაწესის დაცვა. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთა/თანახელმძღვანელთა საქმიანობას აფასებენ პროფესიული სტუდენტები და ხარისხის მართვის მენეჯერი.

აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობა ფასდება სასწავლო პროცესზე დაკვირვების გზით. შედეგები ანალიზდება და გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული დასტურდება აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუს შედეგებითაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.2.1.1 შესაბამისია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;



აკადემიის დირექტორის 2026 წლის 26 მარტის N01-6 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბათუმის პროფესიული აკადემიის 2026 წლის სამოქმედო გეგმა და სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასების რუკა (ცვლილება. 2026 წლის 15 ივლისის N01-38 ბრძანებით), რომლის შესაბამისად აკადემიას გაწერილი აქვს მთელი წლის განმავლობაში პერსონალის, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები.

პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგების საფუძველზე ხარისხის მენეჯერი შეიმუშავებს პერსონალის განვითარების გეგმებს, მათ შორის ტრენინგ-გეგმას. აკადემიის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება პერსონალის განვითარების გეგმების შესაბამისი ბიუჯეტი. პერსონალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ტრენინგ-გეგმა მოიცავს ღონისძიებებს, რომელიც იდენტიფიცირდა პერსონალის საჭიროების კვლევიდან, ასევე გამომდინარეობს პროფესიული სტუდენტების მიერ პერსონალის შეფასების შედეგებიდან, ასევე პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.2.1.2 შესაბამისია.

3. კსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა ეფუძნება მათი საჭიროების კვლევას, აკადემიის მიერ განხორციელებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგებიდან მიღებულ ინფორმაციას, აკადემიაში ახალი მასწავლებლების მიღებას. ამ მიმართულებით აკადემიაში სისტემატურად ჩატარდება ტრენინგები და მასტერკლასები, რომელთა ფარგლებში ხდება მასწავლებლების გადამზადება როგორც სწავლების, ისე დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავების მიმართულებით. აკადემია განახორციელებს სამუშაო შეხვედრებს, ურთიერთგამოცდილების გაზიარებას, ტრენინგებს და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დამწყები მასწავლებლების გადამზადებას სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებში, შეფასების ინსტრუმენტებში, პრაქტიკული გამოცდილების მიდგომებში. აღნიშნული დადასტურდა დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.2.1.3 შესაბამისია.

4. კსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

აკადემიის დირექტორის 2026 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალისა ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები, რომელიც არეგულირებს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. პერსონალის ადაპტაცია სოციალიზაციაზე პასუხისმგებელი პირია ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი. აკადემია ხელს შეუწყობს ახალ თანამშრომელს, რათა მან შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, წარმატებით გაიაროს აკადემიასთან ადაპტაციის პროცესი და გადაიქცეს აკადემიის სრულუფლებიან წევრად.




ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.2.1.4 შესაბამისია.

5. კსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აკადემიის დირექტორის 2026 წლის 30 მარტის N7 ბრძანებით დამტკიცებულია აკადემიის შინაგანაწესი, რომლის მე-19 თავი არეგულირებს პერსონალის წახალისების მექანიზმებს. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის და/ან განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის აკადემია უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ზომები:

- მაღლობის გამოცხადება (ოფიციალური დოკუმენტის სახით და პირად საქმეში შეტანით);
- პრემია;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- სამსახურებრივი დაწინაურება;

ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრების დროს აკადემიის პერსონალმა დაადასტურა განვითარების მზაობა და მოტივაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.2.1.5 შესაბამისია.



დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 26 მარტის N01-6 ბრძანებით დამტკიცებული „ბათუმის პროფესიული აკადემიის 2026 წლის სამოქმედო გეგმა და სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასების რუკა“ (ცვლილება. 15.07.2026. N01-38 ბრძანებით);
2. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 30 მარტის N7 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის შინაგანაწესი“;
3. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 2 მარტის N2 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის დებულება“;
4. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული 2026 წლის პერსონალის განვითარების გეგმა;
5. პერსონალის ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები;
6. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
7. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 16 აპრილის N11 ბრძანებით დამტკიცებული ბათუმის პროფესიული აკადემიის საქმისწარმოების წესი;
8. აკადემიის დირექტორის 2026 წლის 03 აპრილის N01-08 დამტკიცებული „სამუშაო აღწერილობებით და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით“;
9. ხარისხის მართვის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა;
10. პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით; კერძოდ: აკადემიის ფართი გამოყენებული არის, როგორც სასწავლო მიზნებისთვის, ასევე ადმინისტრაციის განსათავსებლად. აკადემიას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის გამოიჯნული აქვს სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები და ცალკეული ადმინისტრაციული სივრცეები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები, ასევე გამტარუნარიანობა და მატერიალური რესურსი აღწერილია მეორე სტანდარტში შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული სწავლების აუდიტორიები აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით, ქიმიური ლაბორატორია; ადმინისტრაციული პერსონალისთვის სამუშაო სივრცეები; სამასწავლებლო - სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის; ბიბლიოთეკა; სამედიცინო კაბინეტი; სივრცე არქივისთვის; სანიტარულ-ჰიგიენური სივრცეები ქალებისა და მამაკაცებისთვის.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.1.1 შესაბამისია

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის; კერძოდ: დაწესებულებაში მოქმედებს მატერიალური რესურსების გამოყენების წესი, სადაც გაწერილია აკადემიის მატერიალური რესურსის ეფექტური და მიზნობრივი გამოყენების მექანიზმები და პროცედურები. წესი ვრცელდება აკადემიის ყველა სტრუქტურულ ერთეულზე, პროფესიული განათლების მასწავლებელზე, პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე და ყველა იმ პირზე ვისაც დაშვება აქვს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე და რესურსზე. აკადემიას სარგებლობაში გააჩნია თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი - შენობა-ნაგებობა, აღჭურვილობა (ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა), აპარატურა, ინვენტარი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:    

უზრუნველყოფილია მასალა/ნედლეულის შეუფერხებელი მომარაგებით. აკადემიის თანამშრომელსა და პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს თანაბარი უფლება აქვთ ისარგებლონ აკადემიის მატერიალურ ტექნიკური საშუალებებით. აკადემიაში შექმნილია შესაბამისი პირობები პროფესიულ სტუდენტებისათვის სწავლების ეფექტურად და წარმატებით განხორციელებისათვის. ინტერნეტ-რესურსები ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტების. პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით აკადემიის „ბიბლიოთეკის სარგებლობის წესის“ შესაბამისად. თუმცა, აკადემიის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე, არსად არ არის მოწყობილი საერთო სარგებლობის სივრცეები სტუდენტებისათვის, სადაც სტუდენტები შეძლებენ სპორტულ/შემოქმედებით საქმიანობის განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრების დროს, აკადემიის ხელმძღვანელობამ დაადასტურა რომ, გეგმავს არნიშნული სივრცეების მოწყობას სამომავლოდ.


აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.1.2 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 5.1.1.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ფართის გამოყოფას და სივრცის შესაბამისად მოწყობას. რათა საერთო სარგებლობის სივრცეები იყოს ხელმისაწვდომი პროფესიული სტუდენტებისთვის; აკადემიის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე, მოეწყოს სივრცეები სტუდენტებისათვის, სადაც ისინი შეძლებენ სპორტულ/შემოქმედებით საქმიანობის განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფი რეგულარულად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

3.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; კერძოდ: აკადემიას შემუშავებული აქვს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის წესები და პროცედურები, სადაც განსაზღვრულია მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სივრცეების, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეების დასუფთავების წესი და პერიოდულობა. ვიზუალური დათვალიერების შედეგად შემოწმდა სამედიცინო ოთახი. ჰიგიენური და სანიტარული ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელია მედდა;

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.1.3 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4.შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით; აკადემიის ინფრასტრუქტურა აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.1.4 შესაბამისია

5.დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;

აკადემიაში მოქმედებს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს აკადემიაში, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფის პროცედურებს; არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას. აკადემიის შრომის უსაფრთხოება მოიცავს: აკადემიის ადმინისტრაციის, აკადემიური და ტექნიკური პერსონალისა და სტუდენტების შრომითი უსაფრთხოების დაცვას; აკადემიის ადმინისტრაციის, აკადემიური და ტექნიკური პერსონალისა და სტუდენტების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების უფლების დაცვას; სახანძრო უსაფრთხოების დაცვას. აკადემიაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან, აკადემიას გააჩნია სათანადო რაოდენობის საევაკუაციო გასასვლელები და საევაკუაციო კიბეები; აკადემია აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით: სახანძრო სიგნალიზაციით; ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემით, მათ შორის, "საევაკუაციო გზის" მიმართულების გასასვლელის "EXIT"-ს მაჩვენებელი მანათობელი ნიშნებითა და ავარიული განათებებით; აკადემია აღჭურვილია ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებით - ცეცხლმაქრებით, რომლის გამოყენების თაობაზე პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის ტარდება ინსტრუქტაჟი და პრაქტიკული სწავლებები, რაც დასტურდება სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალითა და სახანძრო უსაფრთხოების სწავლების ანგარიშებით. დაწესებულებას ჰყავს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა და აქვს ვადიანი სერტიფიკატი. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქციებში შედის: შრომის უსაფრთხოების ყველა წესის დაცვა, შრომითი პირობების და ფაქტორების რისკების შეფასება და პრევენციული ღონისძიებების დასახვა, შრომითი დაცვის ყველა კომპონენტისთვის ინსტრუქციების შემუშავება და მონიტორინგი, მონიტორინგის ჟურნალების წარმოება, შრომითი დაცვის სწავლებისა და ტრენინგების ორგანიზება, აღჭურვილობების და ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება, უსაფრთხო შრომითი გარემოს უზრუნველყოფა, მთავრობის დადგენილებით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისთვის განსაზღვრული მოვალეობების სათანადო შესრულება.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.1.5 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

მატერიალური რესურსების გამოყენების წესი არეგულირებს აკადემიის საქმიანობისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვისა და გამოყენების წესებს, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესებსა და სასწავლო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციას აკადემიის საქმიანობის ადმინისტრირებისათვის/საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შეძენას უზრუნველყოფს მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი დაწესებულების ფინანსურ მენეჯერთან ერთად დირექტორთან შეთანხმებით; საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი მოდულების განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის ჩამონათვალს ადგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროფესიული განათლების მასწავლებელთან/პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და შესყიდვის მიზნით წარუდგენს დირექტორს სწავლის დაწყებამდე. სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის გადაცემას ახორციელებს მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი უშუალოდ სწავლის დაწყებამდე, პროგრამის/შესაბამისი კომპონენტის დასრულებისას ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება და საჭიროების შემთხვევაში, გაუხარჯავი მასალებისა და ნედლეულის დაბრუნება.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.1.6 შესაბამისია

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;



აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს აკადემიის რესურსების შეფასებას. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შიდა შემოწმებისას ხდება მისი შედარება პროფესიულ პროგრამებით გათვალისწინებულ აუცილებელ რესურსებთან. შემოწმებას ექვემდებარება სასწავლო ფართი (აუდიტორიები, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი და სხვ.) და შესაბამისი ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, კომპიუტერული ტექნიკა (არსებობა, გამართული მუშაობა, ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული მასწავლებლებისათვის და პერსონალისათვის), საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ინტერნეტი და სხვ.), ვებ-გვერდი.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.1.7 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



8.3სდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

აკადემიაში ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა რომ, მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, თუმცა შშმ პირებისთვის არ არის ადაპტირებული რადგან კარის ლიობი 90 სმ-ზე ნაკლებია. ეტლი ვერ შეეტევა. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით შშმ პირებისათვის სივრცის მოწყობის და არქიტექტურული დაგეგმარებაში აღწერილია რომ, ლიობი უნდა იყოს 1.9., ასევე ლიობზე დაფიქსირებული დაბრკოლება ვერ უზრუნველყოფს შშმ პირების გადაადგილებას დამოუკიდებლად.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.1.8 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ექსპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 5.1.1.8 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს კარის ლიობის შესაბამისობაში მოყვანა ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. რათა პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას იყოს ხელმისაწვდომი ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.


9.ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა რომ, აკადემიის სასწავლო და ადმინისტრაციული ფართი, ასევე ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.1.9 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

აკადემიის ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. აღნიშნული გადამოწმდა ადგილზე დათვალიერებისას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.1.10 შესაბამისია

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი, ყველა პროგრამის ფარგლებში არის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ვერსიები, ისინი დამუშავებული არის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსზე. აკადემიაში საბიბლიოთეკო მომსახურებას ახორციელებს ბიბლიოთეკარი, რომელსაც უდასტურდება შესაბამისი კომპეტენცია.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.1.11 შესაბამისია



დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. აზომვითი ნახაზები;
3. იჯარის ხელშეკრულებები;
4. მატერიალური რესურსების გამოყენების წესი
5. ქონების ფლობის დოკუმენტები;
6. სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის წესები და პროცედურები;
7. ცენტრალური გათბობის სისტემის ფლობის დოკუმენტები;
8. შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია
9. შრომის უსაფრთხოების რისკების მართვის დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



10. შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შევსებული ჟურნალები.
11. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
12. მატერიალური რესურსების გამოყენების წესი
13. კმაყოფილების კვლევის შედეგები
14. ხარისხის მართვის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა;
15. სასწავლო ფართებისა და ბიბლიოთეკის ფაქტობრივი მდგომარეობა;
16. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
17. „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“;
18. ჩაწერის ფუნქციით აღჭურვილი ვიდეოსათვალითაღი კამერები;
19. დაცვის თანამშრომლის ხელშეკრულებები.
20. პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

5.1.2 კსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;



ინდიკატორი 5.1.2.1 მეტწილად არის დაკმაყოფილებული რადგან, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ((შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის

73

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით.)სადაც, განსაზღვრულია დაწესებულების მხრიდან განსახორციელებელი აქტივობები, აქტივობების დაწყების და დასრულების ვადები (დაწყება 01.06.2026 – დასრულება 30.11.2026.). წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აკადემია უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოებებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების მომზადება კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად. მოცემილი აქტივობის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულია 6 თვე. რაც ექსპერტთა შეფასებით რელევანტური დროა და შესაძლებელია მოცემული ღონისძიების შესრულება.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.2.1 მეტწილად შესაბამისია

2.დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;



აკადემიაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო პუნქტი. სამედიცინო პუნქტის მუშაობას წარმართავს ექთანი. აკადემია უზრუნველყოფს სამედიცინო პუნქტის პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით პერიოდულად მომარაგებას. აკადემია და თავად ექთანი იღებენ ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე; ამისათვის მუდმივად მიმდინარეობს არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ, მათი გამოყენება. მედიკამენტები აღირიცხება სამედიცინო პუნქტში არსებული მედიკამენტების ჟურნალში. გასაუბრების შედეგად ვლინდება რომ, პროფესიულ სტუდენტებს და დაწესებულების პერსონალს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს (სამუშაო საათებში) მიმართონ ექთანს და უსასყიდლოდ მიიღონ შესაბამისი სამედიცინო კონსულტაცია ან დახმარება. თუ პროფესიული სტუდენტი ან დაწესებულების თანამშრომელი ვერ ახერხებს ექთანთან დამოუკიდებლად მისვლას ან/და ექვევცემ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე, აკადემიაში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს ექთანს და სთხოვოს მათ სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირის ადგილზე გასინჯვა. ექთანი ვალდებულია დაუყონებლივ დააკმაყოფილოს აღნიშნული თხოვნა. ექთანი ავადმყოფის პირველადი გასინჯვის საფუძველზე უფლებამოსილია: ა) თავად აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება; ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დამხმარება (112) და ფაქტის შესახებ მოახდინოს სტუდენტის/მსმენელის ოჯახის წევრის ინფორმირება.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.2.2 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

ინდიკატორი 5.1.2.3 მეტწილად არის დაკმაყოფილებული რადგან, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ((შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით.)სადაც, განსაზღვრულია დაწესებულების მხრიდან განსახორციელებელი აქტივობები, აქტივობების დაწყების და დასრულების ვადები (დაწყება 01.06.2026 – დასრულება 30.11.2026.). წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აკადემია უზრუნველყოფს „საგანგებო მართვის გეგმის“, შეთანხმებას კომპეტენტურ ორგანოსთან, სადაც განსაზღვრული იქნება სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი, გეგმის მიზნები, საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე პასუხისმგებელი პირები, შენობის ტიპი და მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული აღწერა, საგანგებო შტაბი და მისი წევრების ფუნქცია-მოვალეობები, არსებული ადრეული გაფრთხილების სისტემის აღწერა, სახანძრო-სამაშველო ტექნიკა- აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, საფრთხეები და რისკები, მათი შეფასებები. მოცემილი აქტივობის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულია 6 თვე. რაც ექსპერტთა შეფასებით რელევანტური დროა და შესაძლებელია მოცემული ღონისძიების შესრულება.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.2.3 მეტწილად შესაბამისია




4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ვიზუალური დათვალიერების და გასაუბრების შედეგად ვლინდება რომ, აკადემიის არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვას შემდეგი საშუალებებით: 1)დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრს იცავენ დაცვის თანამშრომლები 24 საათის განმავლობაში. დაცვის თანამშრომელი ვალდებულია გააკონტროლოს აკადემიაში შემომსვლელი უცხო პირები. დაცვის პერსონალის უფლება-მოვალეობები რეგულირდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. აკადემიის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა; დაწესებულებაში არსებობს მანიშნებლები, რომელიც მიუთითებს სამეთვალყურეო კამერების არსებობაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.1.2.4 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობა
- შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტები
- შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:











2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;



აკადემიის IT ინფორმაციის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსის მიწოდებას სასწავლო პროცესის ფარგლებში, პროგრამების გამოყენებას და უსადენო წვდომას, როგორც ბიბლიოთეკასა და სასწავლო კომპიუტერულ აუდიტორიებში, ისე ადმინისტრაციის ოთახებში. ყველა სასწავლო აუდიტორია, სამსწავლებლო, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით. ინფორმაციული ტექნოლოგიები მოიცავს შესაბამის ინფრასტრუქტურას და პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების კოორდინატორი. დასაქმებული პერსონალის და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, აკადემია აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული მუშაობის შეუფერხებლად წარმართვას. აკადემია უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ მომსახურებით, რასაც ადასტურებს ინტერნეტ პროვაიდერთან (სილქნეტი) გაფორმებული ხელშეკრულება და ადგილზე ინტერნეტ-მომსახურებით ფაქტობრივად სარგებლობის შედეგები. აკადემიის ადმინისტრირებასა და სასწავლო პროცესში გამოიყენება 60 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც აღჭურვილია სასწავლო და სამუშაო პროცესის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებით, 8 ასლგადამღები/პრინტერი; 3 პროექტორი და 5 სადემოსტრაციო საშუალება (ეკრანი).

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.1.1 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

აკადემიას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიის მართვის პოლიტიკა, პოლიტიკით განსაზღვრულია: ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის ამოცანები; ფიზიკური უსაფრთხოება; ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტები; კომუნიკაციებისა და ოპერაციების მართვა; ახალი სისტემის დაგეგმვა შემუშავება; საზიანო პროგრამებზე კონტროლი; ვირუსებისგან დაცვა; კომპიუტერული ქსელის მართვა; სისტემების უსაფრთხოება ტესტირებისა და შექმნის პროცესში; სასწავლო პროცესის მართვის სისტემის აღწერა; სისტემის უსაფრთხოება; განვითარების მექანიზმები. ადგილზე გავესაუბრეთ აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების კოორდინატორს. იგი აკადემიაში ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირებას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.1.2 შესაბამისია

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

აკადემიას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი“. პერსონალური მონაცემები აკადემიის მიერ მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილ შემთხვევებში. დაწესებულება ამუშავებს ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების პერსონალურ მონაცემებს. პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს საკუთარი საქმიანობის კომპეტენციის ფარგლებში. პერსონალური მონაცემების დამუშავებამდე ვალდებულია მოიპოვოს სუბიექტის თანხმობა, თანხმობის ფაქტი დასტურდება გაფორმებული შეთანხმებებით. სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად ზემოთ აღნიშნული დაადასტურა აკადემიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა, რომელიც ემსახურება დაწესებულებას.


აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.1.3 შესაბამისია

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს აკადემიის ინფორმაციის ტექნოლოგიების ფიზიკური ინფრასტრუქტურის, ისე პროცესების ეფექტიანობის შეფასებას. მექანიზმი მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა (მასწავლებელი, სტუდენტი კურსდამთავრებული) კვლევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან, ხელმისაწვდომობასთან. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიის IT სისტემის განვითარებისათვის.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.1.4 შესაბამისია

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

მატერიალური რესურსების გამოყენების წესი (შემდგომში-წესი) ადგენს აკადემიის მატერიალური რესურსის ეფექტური და მიზნობრივი გამოყენების მექანიზმებს და პროცედურებს. აკადემიის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა, მოწყობილობები, ინვენტარი და ტექნიკური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, კაბინეტ-ლაბორატორიები, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები და სხვა მატერიალური ფასეულობანი. მატერიალურ ტექნიკური რესურსებით დანიშნულებისამებრ სარგებლობა შეუზღუდავად თანასწორ პირობებში შეუძლიათ პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებს, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს.


აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.1.5 შესაბამისია

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

აკადემიის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი განსაზღვრავს აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიას, რაც უზრუნველყოფს აკადემიის მიზნებისა და იდეების გავრცელებას და კომუნიკაციას საზოგადოებასთან. აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობებს წარმართავს და მასზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს აკადემიის დებულებითა და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესით. საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიზნით აკადემია ელექტრონული ფოსტით ახორციელებს კომუნიკაციას პერსონალთან, სტუდენტებთან, პარტნიორებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან. აკადემიის ოფიციალური ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში განთავსდება ყველა ის სიახლე და მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც ესაჭიროებათ პროფესიულ სტუდენტებს, პერსონალს და სხვა დაინტერესებულ პირებს. იგი ასრულებს როგორც საკომუნიკაციო, ისე საინფორმაციო ფუნქციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.1.6 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინფორმაციული ტექნოლოგიის მართვის პოლიტიკა;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი“.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- გაფორმებული შეთანხმებები პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები;
- საქმისწარმოების ერთიანი წესები;
- ბიუჯეტის პროექტი;

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:




1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

აკადემიის მიერ შემუშავებულია „საქმისწარმოების ერთიანი წესები“, რომელიც არეგულირებს მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირებისა და დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზების სისტემას, ადგენს შემოსული და გასული კორესპონდენციის, შიდა დოკუმენტაციის მომზადების, გაფორმების, აღრიცხვის, გამოყენებისა და შენახვის წესს. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცესები, მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შორის ელექტრონული საქმისწარმოების მექანიზმები, საქმეთა ნომენკლატურის წარმოებისა და საარქივო დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაციების საკითხები. აკადემიის საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი. აკადემიაში მოქმედი საქმისწარმოების ერთიანი წესი შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და თანხვედრაშია საქმისწარმოების ერთიან წესთან. ადგილზე მოხდა შემოსული და გასული წერილების გადამოწმება.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.2.1 შესაბამისია

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

ინდიკატორი 5.2.2.2 მეტწილად არის დაკმაყოფილებული რადგან, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ((შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით.) სადაც, განსაზღვრულია დაწესებულების მხრიდან განსახორციელებელი აქტივობები, აქტივობების დაწყების და დასრულების ვადები (დაწყება 01.06.2026 – დასრულება 30.11.2026.). წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, აკადემია აპირებს დანერგოს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემას (EFLOW). აქტივობის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულია 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.2.2 მეტწილად შესაბამისია

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

აკადემიაში მოქმედებს „საქმისწარმოების ერთიანი წესი“, რომელიც არეგულირებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს რეესტრის წარმოებასა და მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის დროულ ასახვას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.2.3 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

აკადემიის „საქმისწარმოების ერთიანი წესები“, განსაზღვრავს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდებს და პროცედურას. აკადემიაში დოკუმენტების შესრულებასა და დროულ რეაგირებაზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.2.4 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):


- საქმისწარმოების ერთიანი წესი
- შესაბამისობის გეგმა

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

აკადემიის ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე. ვებგვერდზე განთავსებულია საკონტაქტო და საჯარო ინფორმაცია: აკადემიის მისია, მიზნები, სტრუქტურა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი; სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები; აკადემიის მიერ განსახორციელებელ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები; მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია პერსონალის შესახებ; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; ხელმისაწვდომი სერვისები; პარტნიორი დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია; ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულებაში სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის შესახებ და სხვ.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.3.1 შესაბამისია

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

აკადემიის მისიიდან გამომდინარე ამ ეტაპზე არ აქვს უცხოენოვანი ვებგვერდი.



აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.3.2 შესაბამისია

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი არეგულირებს დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმებს. აკადემიის მიერ უზრუნველყოფილია მისი საქმიანობის, მათ შორის განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციების გავრცელება.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.3.3 შესაბამისია

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას აკადემიის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროფესიული პროგრამების კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების ისტორიის, დაწესებულების მთავარი ფასეულობების, პროგრამების დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამის მიზნების, დაშვების წინაპირობას, პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობას, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს, ინფორმაციას პარტნიორი ორგანიზაციების /პრაქტიკის ობიექტების შესახებ. კატალოგს დაწესებულებისთვის სარეკლამო სახის დანიშნულება აქვს და დაინტერესებულ პირს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.3.4 შესაბამისია

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

აკადემია პროგრამების კატალოგს განახლებას გეგმავს წლიურად, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;



აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.3.5 შესაბამისია

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის შესაბამისად ინფორმაციის შესაგროვებლად აპირებს გამოიყენოს სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. საკომუნიკაციო არხებიდან, ოფიციალური სოციალური ქსელებიდან, ელექტრონული ფორმის გამოკითხვებიდან, მეილებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში, მოხდება სათანადო რეაგირება.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.2.3.6 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუები
- ვებგვერდი

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები



5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

აკადემიის შემოსავლების წყარო ამჟამად დამფუძნებელთა შენატანია აკადემიის ანგარიშზე. შემდგომში ამას დაემატება პროფესიულ სტუდენტთა სწავლის საფასურის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ვაუჩერული დაფინანსება. აკადემიის ფინანსური მენეჯერი კალენდარული წლის დასაწყისში განსაზღვრავს საპროგნოზო შემოსავლებსა და ხარჯებს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულებისას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს ადმინისტრაციას. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დადასტურდება აკადემიის მიერ სამოქმედო გეგმების ანგარიშებით.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.3.1.1 შესაბამისია

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;

სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ფინანსური ტრანზაქციის თაობაზე სისტემიდან ამოღებული ინფორმაცია, ადასტურებს, რომ აკადემია ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას. აკადემია ყოველწლიურად შე ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და განახორციელებს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის განთავსებას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.3.1.2 შესაბამისია

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;


აკადემია ყოველწლიურად შეაფასებს საკუთარი ფინანსური მდგრადობას ობიექტურად;

აქედან გამომდინარე ინდიკატორი 5.3.1.3 შესაბამისია

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აკადემია ყოველი წლის ბოლოს აკეთებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელსაც აქვეყნებს ვებგვერდზე. აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად იგეგმება აკადემიის წლის ბიუჯეტი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუ ფინანსურ მენეჯერთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებზე განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:


 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
 




პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი ბათუმი. ვაჟა ფშაველას ქ. N53.
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	70
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	-
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	
კრედიტების რაოდენობა სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:


 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
 




ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




დ. ბერიძე

დ. ბერიძე



III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი



ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:






სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები: სკოლამდელი განათლება ბუღალტრული აღრიცხვა ფარმაცია (სააფთიაქო) საბაჟო საქმე	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება





2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:


 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
 





5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;




აკადემიას შემუშავებული აქვს პროცედურა „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“, რომლის თანახმად პროფესიული პროგრამის შემუშავების შესახებ ინიცირება ხდება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვ.), რასაც აკადემიის დირექტორი განიხილავს ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად. პროგრამის შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ და პროექტი, ხარისხის მართვის მენეჯერთან განხილვის შემდეგ წარედგინება დირექტორს დასამტკიცებლად. პროგრამის შემუშავების საფუძველია შრომის ბაზრის პროგრამის დამატებისას, აკადემიის ადმინისტრაცია, ასევე ითვალისწინებს აკადემიის მისიასა და სამოქმედო გეგმებს. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, ადაპტირება, დანერგვა, დამატების შესახებ რეგულაციები გაწერილი აქვს ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია დადგენილი პროცედურის დაცვით და არ მოდის წინააღმდეგობაში აკადემიის გაცხადებულ მისიასთან.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისია

3. კსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

„ფარმაცია(სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა (70 პროფესიული სტუდენტი) შესაბამისობაშია აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, საჭირო სასწავლო გარემოს, პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების რაოდენობასა და რესურსს და ა.შ.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისია


4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია: AC სასწავლო გარემო სადაც მოწყობილია 35 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილი (მერხი, სკამი), 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მერხი, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით). აუდიტორია აღჭურვილია დაფითა და სადემონსტრაციო საშუალებებით და პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსებით. აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, საკონტაქტო საათების გათვალისწინებით და აკადემიის პერსონალის მიერ აუდიტორიების დატვირთვის განრიგით, საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი კომპიუტერული კლასი გამტარუნარიანია. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ემსახურება ქიმიური ლაბორატორია აღჭურვილი ლაბორატორიისათვის აუცილებელი აღჭურვილობით. აკადემიაში მოწყობილია ბიბლიოთეკა წიგნსაცავითა და სამკითხველო დარბაზით, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით. უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა. აკადემიას პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს პარტნიორ დაწესებულებებთან ხელშეკრულებები (სს„გეფა და შპს „პსპ ფარმა“) რითაც უზრუნველყოფილია 70 პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკის ორგანიზება/გატარება. ხელშეკრულების პირობების თანახმად, აკადემიის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის განხორციელების ვადები აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც აკადემიის საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულებები, მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არჩევით მოდულს „მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები“ 3 კრედიტის მოცულობით. რაც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის ბრძანებით. აკადემიის დებულების თანახმად პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი აკადემიის დირექტორია.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის რეალურ პროფილს და შესაბამის სწავლის შედეგებს, არ გვხვდება რაიმე ტერმინოლოგიური შეუსაბამობა ან ისეთი ფორმულირება, რომელმაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს პროფესიული სტუდენტი ან დამსაქმებელი პროგრამის შინაარსთან, დონესთან ან მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისია

8. კსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



პროგრამა მომზადებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და აკადემიის შიდა რეგულაციების საფუძველზე. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. აკადემიის მიერ, წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: ადაპტირებული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროგრამა ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს. ასევე, ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები, გათვალისწინებულია სწავლის შედეგების შესაძლო აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების კვირული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამა ასახავს სტანდარტში მოცემულ ყველა სავალდებულო კომპონენტს: შეფასების სისტემა (განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასება), კვალიფიკაციის მინიჭება, სსსმ/შშმ სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა და რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარების ჩარჩო.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკადემიის მისია
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.


კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას დაწესებულება უზრუნველყოფს მის სარგებლობაში არსებულ ფართზე, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმი. ვაჟა ფშაველას ქ. N53. დაწესებულებას აღნიშნულ ფართში, სასწავლო დანიშნულებისათვის, თანასაკუთრებაში გააჩნია 1586 კვ.მ ფართი, მათ შორის: პირველ სართულზე - 313,74 კვ.მ და მეორე სართულზე - 468,83 კვ.მ. აკადემიაში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია ორი სასწავლო A/C გარემო, ერთი B გარემო და პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი. **A/C გარემო (ოთახი 105)** აღჭურვილია: **35 პროფესიული სტუდენტისთვის** გამოყოფილი სამუშაო მაგიდითა და სკამით, 1 პროფესიული მასწავლებლის მაგიდით და სკამით, 1 პერსონალური კომპიუტერით (მასწავლებლისათვის) და დაფით. ასევე სიმულაციური აფთიაქის კუთხით, სადაც მოთავსებულია სიმულაციური პრეპარატების შეფუთვები ფარმაცოლოგიური ჯგუფების მიხედვით, ავადმყოფის მოვლის საგნები კარადაში, და კოსმეტიკისა და ბავშვთა კვების ნიმუშები ცალკე თაროებზე გამოყოფილად. ექსპერტებმა მოითხოვეს შევსებული და შეუვსებელი რეცეპტების ნიმუშები, რაც პროფესიული განათლების მასწავლებელმა წარმოადგინა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



B გარემო (ოთახი 101) აღჭურვილია: **35 პერსონალური კომპიუტერით, 1 პროფესიული** მასწავლებლის მაგიდით და სკამით, 1. პერსონალური კომპიუტერით (მასწავლებლისათვის), პროექტორით და დაფით.

მეორე A/C გარემო (ოთახი 106), ქიმიურ-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ლაბორატორია აღჭურვილია **18 პროფესიული სტუდენტისათვის** თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის ერთ ცვლაში. ქიმიური მაგიდები და სკამები, ერთი პედაგოგისთვის, 18+1 ლაბორატორიული სკამი, დემონსტრირების ციფრული საშუალებით (1ც მონიტორი), დაფით, სასწავლო თვალსაჩინოებებით, სასტენდო ვიზუალიზაციით, გამწოვი მოწყობილობით, კარადებით ქიმიური ჭურჭლისთვის, დახურული კარადით რეაქტივებისათვის, რომელიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი ინვენტარითა და აღჭურვილობით. მიკროსკოპებით, შტატივებით, სასწორებით, საწონებით, სინჯარებით, რეფრაქტომეტრით, კოლბებით, როდინებით და ყველა საჭირო ჭურჭლით. „აქვეა კედელზე გამოკრული „დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხოების წესი.“ „ნარჩენების უტილიზაციის წესი“, ყუთი მყარი ნარჩენებისთვის (უტილიზაციის კომპანიის მიერ მოწოდებული).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არ იყო ლაბორატორიაში სითხოვანი ნარჩენების უტილიზაციისთვის მინის ჭურჭელი, რომელიც მოითხოვს ექსპერტებმა და ვიზიტის დამთავრებამდე წარმოადგინა პროფესიულმა მასწავლებელმა მასწავლებელმა მინის ჭურჭელი სათანადო წარწერით.

პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი, (კაბ. 30) რომელიც ასევე აღჭურვილია სათანადო ავეჯით და მოწყობილობებით.

პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით სარგებლობა პროფესიული სტუდენტთათვის. აკადემიას გაფორმებული აქვს კოოპერაციული სწავლების მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტთან PSP ფარმასთან, 70 პროფესიულ სტუდენტზე (18. მაისი 2026. მემორანდუმი N2026/1 „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ.“). ასევე და სს გეფასთან ასევე 70 პროფესიულ სტუდენტზე.

პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში 8 მოდულის გავლას. ესენია:

1. „სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“;
2. „მცირე შეფუთვებამ მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება“;
3. „პროდუქციის მიღება განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“;
5. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“;
6. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“;
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის/საშუალებების შერჩევა“;
8. „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“

კოოპერაციული სწავლების მემორანდუმში მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობის გზით, პროფესიული პროგრამის „ფარმაცია „სააფთიაქო“ პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. ექსპერტთა მიერ აკადემიისა და პრაქტიკის ობიექტის (შპს „პსკ ფარმა“) გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯამურად 70) პროფესიული სტუდენტი, (წელიწადში ერთ მიღებაზე 70 პროფესიული სტუდენტი). ერთ აფთიაქში იღებენ მაქსიმუმ 4 სტუდენტს და პრაქტიკის ობიექტის მიერ ასევე უზრუნველყოფილია სტუდენტთა პრაქტიკის გავლა ტერიტორიულად საცხოვრებელ ადგილთან ახლოს არსებულ აფთიაქში, სურვილისამებრ. ასევე სწავლების მეორე წლიდან მოტივირებულ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა სტაჟირება გაიარონ პსკ ფარმას აფთიაქებში და დასაქმდნენ.

ასევე დაწესებულებას ახალი გაფორმებული აქვს დამატებით შპს „გეფასთან“ მემორანდუმში 70 სტუდენტზე, რომელიც არ ფიქსირდებოდა გადმოგზავნილ საბუთებში და ექსპერტებმა ნახეს ადგილზე, თუმცა შპს პსკ ფარმასთან ხელშეკრულება სრულიად უზრუნველყოფდა რაოდენობრივად პრაქტიკის ობიექტის გამტარობას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისია.

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

100

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო) გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები 19 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს დარგობრივ მოდულებს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, დაწესებულებას მოდულების მიხედვით ჰყავს მინიმუმ 2 განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს გარდა ერთი შემთხვევისა: ერთი პროფესიული პედაგოგის საათობრივი დატვირთვა, რომელიც ამასთანავე არის სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელი და პარალელურად პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქოზე) „ ახორციელებს 4 საკვანძო მოდულს (ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები“; „ნივთიერებათა იზოლირება „; „ ანალიზური ქიმიის საფუძვლები“; „ფარმაცევტული ანალიზი-1 „ და „ფარმაცევტული ანალიზი-2

ყველა ეს მოდული სხვადასხვა დროს და ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს და ისეთ საპასუხისმგებლო თანამდებობასთან, როგორცაა სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი.

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია (რამდენადაც სწავლა ჯერ არ დაწყებულა) დაამატოს სხვა მასწავლებელი და სასწავლო პროცესის მენეჯერმა უზრუნველყოს ადმინისტრაციული თანამდებობაზე დაკისრებული ვალდებულებების ხარისხიანი შესრულება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან 1 წლის ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლის მოქმედების ვადაც ნაკლებია როგორც პროგრამის ხანგრძლივობაზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადაზე, რაც ვერ უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.2 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის “ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწყებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს წინარე ხელშეკრულების ნიმუშის შემუშავება დამტკიცებას, ახალი შრომითი ხელშეკრულების შემუშავებას, რომელიც დააკმაყოფილებს საქართველოს შრომის კოდექსს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებას(N159/ნ 2024 წლის 15 ოქტომბერი ქ.თბილისი, პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ)ასევე ცნობებით „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ: პირადი საქმეების შევსება, რათა პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით და მათი პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“, დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის ბრძანებით N28 25.05 2026 მ შევიდა ცვლილებები დირექტორის N 01.31. 08.06. 2026 ბრძანებით.

აკადემიის დირექტორის ბრძანება N 10 დამტკიცებული (დანართი N1; მუხლი N8) დამტკიცებული მოთხოვნების შესაბამისად, შერჩეულია პროფესიული განათლების 19 მასწავლებელი აქედან 5 ზოგადის და 14 დარგის პროფესიული პროფესიული განათლების მასწავლებელი თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები; CV, პირადი საქმეები ხელშეკრულება და სხვა დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბუთების შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი უმრავლესობას არ აქვს გავლილი სწავლება შეფასების ინსტრუმენტის შექმნის, ვერიფიკაციის, ვალიდაციის შესახებ, ამის შესახებ ექსპერტებთან გასაუბრებისას თვით მასწავლებლებმა და პროგრამის ხელმძღვანელსაც, განმარტეს რომ სწავლის დაწყებამდე დაგეგმილია რამდენიმე ტრენინგი თანამშრომლებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში პედაგოგების დატვირთვა და კვალიფიკაციები იყო შეუსაბამოებაში. როგორც აღმოჩნდა იყო ტექნიკური ხარვეზი და ვიზიტამდე აღმოფხვრა დაწესებულებამ და ვიზიტის დროს წარმოადგინა ახალი პერსონალის დატვირთვის ცხრილი რომელშიც სრულ შესაბამისობაშია პედაგოგთა კვალიფიკაცია და განსახორციელებელი მოდულები.

მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებებში რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს, გაწერილია ის მოდულები (საათები), რომლებსაც განახორციელებს პროფესიული მასწავლებელი, წარმოდგენილი სასწავლო გეგმით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ სცდება კვირულ 40 საათს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;




აკადემიის დირექტორის ბრძანება N10 მუხლი 9 მიხედვით პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უმაღლესი/პროფესიული განათლების, შესაბამის დარგში მუშაობის გამოცდილების და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი. ამავე დოკუმენტის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი: მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/მოქმედ პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესში; მონაწილეობს პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად შეფასების ინსტრუმენტების და კალენდარული გეგმების შემუშავებაში; ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში; პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების ადაპტირებისა და მათი სტანდარტებთან შესაბამისობაზე; კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საქმიანობას. ექსპერტთა მიერ, პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავება-განხორციელებაში, ასევე პერიოდულად მონიტორინგს ატარებს პრაქტიკის ობიექტებზე, ასევე არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი. მისი საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საჭირო საგანმანათლებლო რესურსები დაწესებულებაში ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების საკითხები რეგულირდება აკადემიის დირექტორის ბრძანება N12-ით და ამავე ბრძანების დანართი N1 (2026წ. 5 მაისი) „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება აკადემიის ყველა პროფესიული სტუდენტისათვის. ასევე პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, კატალოგთან ერთად, ელექტრონული სახით ხელმისაწვდომი იქნება. პროფესიულ სტუდენტს თავისუფლად შეეძლება მისი ასლის საკუთარ ელ. ფოსტაზე გაგზავნა, ან ნაბეჭდი ფორმით მოკლე ამონარიდის მიღება. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი, სადაც განთავსებულია სამი პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველოში თვალსაჩინო ადგილზე.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისია




6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად;

აკადემიას შიდა რეგულაციებით გაწერილი აქვს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების და სხვა სერვისების მიწოდების წესები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმ/შშმ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ფაქტობრივი გარემოების დადგომის შემთხვევაში, აკადემიის ინფრასტრუქტურა, კერძოდ სასწავლო და ადმინისტრაციის ოთახები, მათ შორის ბიბლიოთეკა, ასევე სველი წერტილები ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N 732 დადგენილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მე-5 მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N 41 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, და ახალი დადგენილების 404.2.2 პუნქტის მიხედვით „გზა-კარის თავისუფალი ღიობი უნდა იყოს არაუმცირეს 820 მმ სიგანის. ორმხრივ მოძრავე კარებიანი გზა-კარის თავისუფალი ღიობის სიგანე უნდა გაიზომოს კარის პირიდან გაჩერების ადგილამდე, როდესაც კარი ღიაა 90 გრადუსით. ღიობებს, კარსა და უკარო გზა-კარს, რომელთა სიღრმე 600მმ-ია, უნდა ჰქონდეს არაუმცირეს 900 მმ სიგანის თავისუფალი ღიობი. ასევე, 404.2.4. პუნქტის თანახმად, გზა-კარების ზღურბლები დასაშვებია იყოს არაუმეტეს 13 მმ. სიმაღლის, ამავდროულად გზა-კარებთან შეცვლილი დონეები და ზღურბლები უნდა შეესაბამებოდეს 302-ე და 303-ე ქვეთავებს.

ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ აკადემიაში შეძლებისდაგვარად შექმნილია ადაპტირებული სასწავლო სივრცეები, თუმცა სასწავლო გარემო სრულად არ არის ადაპტირებული შშმ პირების თავისუფლად გადაადგილებისათვის.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.6 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.6 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს კარის ღიობის შესაბამისობაში მოყვანა ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. რათა პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას იყოს ხელმისაწვდომი ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

7.3სდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი მოიცავს, ყველა აუცილებელ ხარჯს, მათ შორის შრომის ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის და მომსახურების ხარჯს, მოდულის განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებების ხარჯს და სხვა ხარჯებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საპროგნოზო ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომლის **რენტაბელობის ზღვარი 16 პროფესიული სტუდენტია**.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
4. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმე;
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
7. ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი;
8. პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
10. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
11. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:


- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით


1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
- აკადემიას პროგრამის განვითარების მექანიზმები აგებული აქვს დემინგის ციკლის პრინციპის გათვალისწინებით, რაც დოკუმენტირებულია შიდა რეგულაციაში „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესში“, რომლის თანახმად ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება/ანალიზი. შემოწმებას ექვემდებარება პროგრამების შინაარსობრივი ასპექტები, სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობისა და რესურსების ადეკვატურობა, მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობა წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. შეფასებისას ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება ასევე დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის, დამსაქმებლების) კმაყოფილების კვლევა. განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს განვითარების რეკომენდაციებს და წარადგენს დირექტორთან შემდგომი რეაგირებისთვის. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისია**
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
- აკადემია გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების წესი დოკუმენტირებულია შიდა რეგულაციაში „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



წესი“. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შედეგების გამოყენების პროცედურა.
- ანკეტა კითხვარები;
- „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება


2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება N10-ით მუხლი 6; 7; 2026წ. 14 აპრილი). სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. სწავლება განხორციელდება შესაბამისი სასწავლო გეგმით, რომელშიც გაწერილია მოდულების თანმიმდევრობა კვირების მიხედვით და ყოველ კვირაში შესასრულებელი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მეცადინეობის განრიგები შემუშავებულია სასწავლო გეგმების შესაბამისად და პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისია


2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით (ბრძანება N10 „სსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმი. 20 აპრილი 2026წ.). განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები. დაწესებულება მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება; ინდივიდუალური მეცადინეობები; პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე დარეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მიღებული განათლების აღიარებას და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელებას შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე. პროფესიული სტუდენტებს აქვთ მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებაში“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულებაში შემუშავებული ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება იმოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად გაითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით დგინდება, რომ სწავლება იწარმოებს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ გარემოში, შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებლებს საშუალებას მისცემს ინოვაციური მიდგომები გამოიყენონ სწავლების პროცესში. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება და სხვა. ექსპერტთა შეფასებით სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და სტუდენტთა პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;



დაწესებულების წარმომადგენლებსა გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ექსპერტთა მიერ გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და განახორციელებს სასწავლო პროცესს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5.3სდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულება თანამშრომლობს *პრაქტიკის ობიექტთან*. აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტთან -პსპ ფარმასთან და სს „გეფასთან“:

ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; მოდულები; სასწავლო გეგმა და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლის პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტი. ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა შპს „პსპ ფარმას“ ავთიაქში ქ. ბათუმში პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დაისვა მიზნობრივი შეკითხვები, რათა ექვეყნეშ არ დამდგარიყო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მდგრადობა. პრაქტიკის ობიექტის (პსპ ფარმა) წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაში გაწერილი პირობა შესრულებდა მათი მხრიდან, სტუდენტებს წვდომა ექნებათ შესაბამის მატერიალურ რესურსთან და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში არავითარი გადაცდენა/უზუსტობას არ ექნება ადგილი.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. აკადემიაში უსაფრთხოება რეგულირდება აკადემიის დირექტორის 01 აპრილის 2026წ. ბრძანება N13-ით : „აკადემიის უსაფრთხოების წესების, შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და ევაკუაციის წესის დამტკიცების შესახებ.“ და შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის ბრძანება N12 (20 აპრილი 2026წ.) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, აკადემიის დისტანციური სწავლების წესი, სსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი დამტკიცების შესახებ“ თავი XI , მუხლი 35 „ სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიკურ უსაფრთხოებას საჭიროებს, სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ყველა აუდიტორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები. ასევე, A/C სასწავლო გარემოში ქიმიურ-ტექნოლოგიურ ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები, ნარჩენების უტილიზაციის წესები, უტილიზაციისთვის აუცილებელი ჭურჭელი (როგორც სითხევანი, ასევე მყარი ნარჩენებისთვის), დაწესებულებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება უტილიზაციის კომპანიასთან “ეკომედთან”(16/07.2026. ხელშეკრულება მომსახურების შესახებ 06-15) რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც განხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილი პირობა, რომლის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):


- საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია სააფთიაქოს“ - სასწავლო გეგმა;
- კალენდარული გეგმები;
- პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები.
- „აკადემიის უსაფრთხოების წესების, შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და ევაკუაციის წესის დამტკიცების შესახებ.“ ბრძანება.
- უტილიზაციის ხელშეკრულება.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:


1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

აკადემიის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ მუხლით რეგულირდება „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება“, დოკუმენტის თანახმად, ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის, ვალიდურობის, სტანდარტულობის, პრაქტიკულობის, გამჭვირვალობის პირობებს; შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეადგინოს მოდულის განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა; შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების ან არ გამოცხადების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი (განმეორებითი) შეფასება მაქსიმუმ 2-ჯერ არაუგვიანეს განმსაზღვრელი შეფასებიდან 10 დღისა, იმ მოდულისათვის, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან არ გამოცხადების შემთხვევაში, იმ მოდულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი (განმეორებითი) შეფასებისა მაქსიმუმ 2-ჯერ პროგრამის დასრულებამდე.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:     

დაწესებულების „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, ვერიფიკაციის პროცესს განახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები, საჭიროების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, აკადემია ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის ბრძანება N12 მუხლი 34) სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის/მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი“ განსაზღვრულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის თანახმადაც, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა უნდა შეინახოს აკადემიაში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და ოქმები შეინახება უვადოდ. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისია**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის“ მიხედვით, სტუდენტთა ინფორმირება მიღწეულ შედეგთან დაკავშირებით) შეფასების შემდეგ სტუდენტები მიიღებენ უკუკავშირის მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს სამი დღისა). პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების შედეგების გაცნობისას ინდივიდუალურად გაუწევენ კონსულტაციას დაშვებული შეცდომებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ.


აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
3. „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებები“
4. შეფასების უწყისების ნიმუშები;
5. გასაუბრების შედეგები.


შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დ. ბერიძე


დ. ბერიძე



პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები / Occupational Safety and Environmental Technology
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში / Higher Vocational Qualification in Occupational Safety and Environmental Technology
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	70
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:











სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები





2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

119

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:


 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
 





4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.


კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; კერძოდ: შპს ბათუმის პროფესიულ აკადემია წარმოადგენს მრავალპროფილურ სასწავლებელს, რომელიც ზრუნავს გააფართოვოს მიმართულებათა სპექტრი და დაიმატოს შრომის ბაზარზე მოთხოვნილი პროფესიები. 2019 წლიდან საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, საფუძველზე, აუცილებელი გახდა ნებისმიერ დაწესებულებას ყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტ(ებ)ი, აქედან გამომდინარე, საჭიროა ამ მიმართულებით მომზადებული სათანადო კვალიფიკაციის კადრი, რომელიც აღჭურვილი იქნება თეორიული ცოდნით და შესაბამისი პრაქტიკული უნარებით. წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს მსმენელების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას წარმატებული პროფესიული კარიერისთვის, რათა პროგრამის დასრულების შემდგომ მათ წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივი კეთილდღეობის, დასაქმებულთა უსაფრთხო შრომის უზრუნველყოფის და გარემოს გაუმჯობესებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ადმინისტრაციულ პერსონალთან, სასწავლო მოდულების განმახორციელებელ პედაგოგებთან, ასევე დამსაქმებლებთან გასაუბრების პროცესში, გამოიკვეთა საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა, მითუმეტეს პროგრამა ხელს უწყობს რეგიონში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას აღნიშნულ დარგში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ვიზიტის პერიოდში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“-ს პროგრამის შემუშავებისას გამოყენებული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შეფასება, უკუკავშირი და რეკომენდაციები. კერძოდ, პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების პირდაპირი მოთხოვნა აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებაზე. ამის გარდა, ჩატარებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის ანალიზი, რომლის საფუძველზეც აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“-ს განხორციელების არგუმენტირებული დასაბუთება, სადაც იკვეთება პროგრამის საჭიროება არამარტო ქალაქ ბათუმში, არამედ აჭარის რეგიონში. პროგრამის მიზნები თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ მიზნის პირველივე ამოცანასთან, განავითაროს საგანმანათლებლო მომსახურება და შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე გააფართოოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრი, რაც გულისხმობს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების დამატებას და განხორციელებას.


პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა გამყარებულია იმითაც, რომ საქართველოში შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვა და ეფექტური შრომის ინსპექციის ამოქმედება სავალდებულოა. დასაბუთებისას, აკადემიის მიერ ხაზგასმულია, რომ კვლევების მიერ გამოკვეთილია ადგილობრივი კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რეგიონს უწევს სპეციალისტების მოწვევა სხვა რეგიონებიდან, აქედან გამომდინარე, დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა ნათლად და არგუმენტირებულადაა დასაბუთებული და შეესაბამება სასწავლებლის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. ექსპერტთა შეფასებით,

აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 2.1.1.1 შესაბამისია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამოცდო ტესტირება. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები, ასევე სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის და სხვა სტატუსთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია აკადემიის დირექტორის მიერ 2026 წლის 20 აპრილს N12 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N 42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებთან“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 2.1.1.2 შესაბამისია

3.3.საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; კერძოდ: ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის მიერ 2026 წლის 14 აპრილის N10 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ბათუმის პროფესიულ აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი. ამავე დოკუმენტის მე-3 მუხლში გაწერილია პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის მიხედვით, აკადემიის კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, ადამიანური რესურსები, აკადემიის მატერიალური რესურსის რაოდენობა მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობა (A, B, C სასწავლო გარემოს მიხედვით), ასევე, აკადემიას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი და პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების წესი, რომლის მიხედვით ხდება კონტიგენტის განსაზღვრა მატერიალური, ადამიანური, ინფრასტრუქტურული, ფინანსური რესურსების, პერსონალისა და პარტნიორი ორგანიზაციის შესაძლებლობების გათვალისწინებით. პროგრამაზე აკადემიის მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების რაოდენობაა 70 პროფესიული სტუდენტი 2 წლის განმავლობაში, წელიწადში 35 პროფესიული სტუდენტი, რაც შეესაბამება აკადემიის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და აკადემიის რესურსებს.




აკადემიამ ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, წარმოადგინა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, ექსპერტთა შეფასებით, **აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 2.1.1.3 შესაბამისია**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ბათუმის პროფესიული აკადემიის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად ნანახი მატერიალური და სასწავლო რესურსის, აგრეთვე ვიზიტის დროს მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“-ს პროგრამის თითოეულ მოდულში გათვალისწინებული მატერიალური რესურსები, A, B, C სასწავლო გარემო, სადაც მოწყობილია 35 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილი (მერხი, სკამი), 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მერხი, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით) შეესაბამება წარმოდგენილ პროგრამის დანართით გაწერილ რესურსს. აუდიტორიები აღჭურვილია დაფითა და სადემონსტრაციო საშუალებებით, რაც სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს, ასევე, შესწავლილ იქნა ბიბლიოთეკის მოწყობის და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსი, ბიბლიოთეკაში, მიუხედავად იმისა, რომ არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, თვალსაჩინოდ გამოკრულია საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები, ელექტრონული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია აკადემიის ყველა პროფესიული სტუდენტის და პროფესიული მასწავლებლისთვის, ექსპერტებმა ადგილზე შემოწმებით ნახეს, რომ აკადემიის ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში ხელმისაწვდომია მხოლოდ ელექტრონული სასწავლო რესურსი. აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება <https://matsne.gov.ge/> - სთან, ამიტომ აკადემიის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შემოიფარგლება ყველა იმ ელექტრონული ნორმატიული დადგენილებებით, რაც იძებნება მაცნეს საიტზე, ასევე ჩვენი ვიზიტის პერიოდში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საიტიდან ექსპერტთა მითითებით ჩამოიტვირთა პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოები.

ასევე, აკადემიას პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად უზრუნველყოფილია 70 პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკის ორგანიზება/გატარება. ხელშეკრულების პირობების თანახმად, აკადემიის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის განხორციელების ვადები, რაც წინასწარ ეცნობება პარტნიორ ორგანიზაციას. ხელშეკრულების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა დაეუფლონ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფარგლებში განსაზღვრულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. დადებული ხელშეკრულების მიხედვით, პრაქტიკის განხორციელება ხდება მხოლოდ ორ კომპანიასთან: შპს „დეველოპმენტ ალიანსი“ და შპს „სიევ დეველოპმენტი“, ორივე კომპანია წარმოადგენს სამშენებლო სეგმენტს. აკადემიისა და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც თანხვედრაშია ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.4 შესაბამისია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“-ს არჩევითი მოდულებს არ ითვალისწინებს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 2.1.1.5 შესაბამისია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ბათუმის პროფესიული აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში განსაზღვრულია პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი-აკადემიის დირექტორი, რომელიც ამტკიცებს პროფესიულ და სხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამებს/მოდულებს და უფლებამოსილია გამოსცეს შესაბამისი აქტები. ექსპერტთა შეფასებით, აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 2.1.1.6 შესაბამისია



7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საფუძველზე და კვალიფიკაცია ფორმულირებულია შემდეგნაირად - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები და მათი შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 2.1.1.7 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



8.3სდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავებულია ჩარჩო-დოკუმენტის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები/Occupational Safety and Environmental Technology სარეგისტრაციო ნომრით 07311-პ საფუძველზე, სადაც განსაზღვრულია პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები, პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე. პროგრამის პაკეტს თან ახლავს სასწავლო გეგმა და ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსის შესახებ. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით (პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 120 კრედიტია, პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 150 კრედიტს. შესაბამისად, 3სდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ექსპერტთა შეფასებით,

აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 2.1.1.8 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):




კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“;
- აკადემიის მისია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხელშეკრულებები გაფორმებული პრაქტიკის ობიექტებთან.
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;
- ინტერვიუების შედეგები;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი



2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.


კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
- აკადემიას მფლობელობაში აქვს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ის მატერიალურ ტექნიკური რესურსი, რაც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების აუცილებლობას, თუმცა ინტერვიურების დროს აკადემიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ინდივიდუალურ დამცავ საშუალებებს შეიძენენ სტუდენტთა მიღების შემდგომ მათი აღნაგობის და ზომების გათვალისწინებით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია აკადემიის სასწავლო და სიმულაციურ გარემოში ასევე /პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული სადემონსტრაციო და კოლექტიური მოხმარების მატერიალური რესურსით. ინდივიდუალური საჭიროების რესურსს შეისყიდებიან ჩარიცხული პროფესიულ სტუდენტთა რეალური რაოდენობის გათვალისწინებით.
- აკადემიაში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B და C სასწავლო გარემოები, რომელიც აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით და კომპიუტერული ტექნიკით. აკადემიას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის მოწყობილი აქვს A სასწავლო აუდიტორია და C სიმულაციური გარემო პრაქტიკული მუშაობისათვის. ხოლო B გარემოს დატვირთვა გაკეთებული აქვთ ისე, რომ მისი გამტარუნარიანობა შესაბამისი იყოს სხვა პროგრამების განსახორციელებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ A, B სასწავლო გარემო მდებარეობს ა ბლოკში, ხოლო C სასწავლო გარემო იგივე

127

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მისამართზე ც ბლოკში. მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პრაქტიკის ობიექტზე, ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მატერიალური რესურსით სარგებლობა. აკადემიას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:

- შპს ბათუმი დეველოპმენტ ალიანსი
- შპს სეივ დეველოპმენტი

ვიზიტისას ორივე ობიექტის წარმომადგენელმა დაადასტურა ხელშეკრულებით გაწერილი ვალდებულება, რომ მზაობას გამოხატავდა ობიექტზე მიეღო ერთდროულად 70 სტუდენტი.

დადებული ხელშეკრულების მიხედვით, პრაქტიკის განხორციელება ხდება ორ კომპანიასთან: შპს „დეველოპმენტ ალიანსი“ და შპს „სეივ დეველოპმენტი“, ორივე კომპანია წარმოადგენს სამშენებლო სეგმენტს. მშენებლობა წარმოადგენს მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო სფეროს და მაღალი რისკის შემცველ კატეგორიების სამუშაოს. აკადემიისა და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პრაქტიკის განსახორციელებლად აუცილებელია სტუდენტის პერსონალური ეკიპირება სათანადო ი.დ.ს.-ებით პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, ჩარიცხულ სტუდენტებს მათი ფიზიკური პარამეტრების მიხედვით პრაქტიკის განხორციელებამდე უზრუნველყოფდნენ შესაბამისი ზომის სპეც. ფეხსაცმლით და ტანსაცმლით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 2.2.1.1 შესაბამისია.

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამის დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელთა სია, რომლის მიხედვითაც პროგრამა ხორციელდება: ზოგადი მოდულის განმახორციელებელი 10 პროფესიული განათლების მასწავლებლის, დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი 14 პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ, სულ 24 პირი. პროგრამის შემადგენელ უმეტეს მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირი. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. მასწავლებლები გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობენ სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და სხვ). თუმცა, ერთი განმახორციელებელი მასწავლებელი მოდულზე „ნარჩენების მართვა“ პარალელურად არის სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელი.


დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია (რამდენადაც სწავლა ჯერ არ დაწყებულა) დაამატოს სხვა მასწავლებელი აღნიშნულ მოდულზე და სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს ადმინისტრაციული თანამდებობაზე დაკისრებული ვალდებულებების ხარისხიანი შესრულება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან 1 წლის ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლის მოქმედების ვადაც ნაკლებია როგორც პროგრამის ხანგრძლივობაზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადაზე, რაც ვერ უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.2 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს წინარე ხელშეკრულების ნიმუშის შემუშავება დამტკიცებას, ახალი შრომითი ხელშეკრულების შემუშავებას, რომელიც დააკმაყოფილებს საქართველოს შრომის კოდექსს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებას(N159/ნ 2024 წლის 15 ოქტომბერი ქ.თბილისი, პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ)ასევე ცნობებით „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ: პირადი საქმეების შევსება, რათა პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია გამოცდილება და გადამზადება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის განხორციელების და შეფასების წესში.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 2.2.1.3 შესაბამისია

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს აკადემიის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის განხორციელების და შეფასების წესში, რომლის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა იზრუნოს პროგრამის ადაპტირება-მოდულიზირებაზე, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის პროცესებზე. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს ძირითად საკონტაქტო პირს, რომელიც მონაწილეობს პროგრამის შიდა და გარე შეფასებისა და მონიტორინგის პროცესებში. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობითა და აკადემიის რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს. ექსპერტების მიერ შემოწმდა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მისი კვალიფიკაცია და დარგობრივი კომპეტენცია შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და აკადემიის მიერ დადგენილ პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციაზე მუშაობის მოთხოვნებს.




აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 2.2.1.4 შესაბამისია

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აკადემიის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინოდ არის გამოკრული საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები. ელექტრონული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია აკადემიის ყველა პროფესიული სტუდენტისათვის, ექსპერტების მიერ ადგილზე შემოწმებით დაფიქსირდა, რომ აკადემიის ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსი. თუმცა, პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შეივსოს მატერიალური სახელმძღვანელოებით, აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება <https://matsne.gov.ge/> - სთან, ამიტომ აკადემიის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შემოიფარგლება ყველა იმ ელექტრონული ნორმატიული დადგენილებებით, რაც იძებნება მაცნეს საიტზე, ასევე ჩვენი ვიზიტის პერიოდში, ჩვენი რეკომენდაციით ადგილზე ჩამოიტვირთა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საიტიდან პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოები, თუმცა არსებული სახელმძღვანელოების ფონდი ვერ უზრუნველყოფს საჭირო სრულ ლიტერატურულ რესურსს პროფესიული სტუდენტისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელია საბიბლიოთეკო რესურსის უზრუნველყოფა შესაბამისი ელექტრონული და მატერიალური სახელმძღვანელოებით. (მაგალითად: მოდულს „ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი“ არ აქვთ მითითებული ლიტერატურა, თუმცა თემატიკის შესასწავლად აუცილებელია სალიტერატურო მასალის დამუშავება; მოდულის „ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება“ მითითებული ლიტერატურა (ნ. ჯვარელი, ლ. ჩხეიძე „შრომის უსაფრთხოება“. თბილისი, სტუ. 2009 და ლ. ჩხეიძე, ნ. ჯვარელია „საწარმოო სანიტარია და შრომის ჰიგიენა“. თბილისი, სტუ. 2009) ბიბლიოთეკაში არ მოიძებნა; მოდულს „ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი „ მითითებულია სამუშაო ადგილების რისკების და საფრთხეების კონტროლი - NEBOSH Certificate, ETA Consultancy 2012.. თუმცა მნიშვნელოვანია „სამუშაო ადგილზე რისკების შეფასების 5 საფეხურიანი სახელმძღვანელო“ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 30/01/2020 წლის 01-15/ნ ბრძანება „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“, ასევე 01/07/2022 წელს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილება 341 „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“; მოდულის „სამუშაო ალჭურვილობის საფრთხეებისა და რისკის კონტროლი“ მისათითებელია : 01/05/2025 წელს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილება „სამუშაო სივრცეში სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.5 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“-ის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის “ დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.5 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს წიგნადი ფონდის შევსებას დასკვნის პროექტში მითითებული ლიტერატურის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

აკადემიას შიდა რეგულაციებით გაწერილი აქვს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების და სხვა სერვისების მიწოდების წესები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმ/შშმ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ფაქტობრივი გარემოების დადგომის შემთხვევაში, აკადემიის ინფრასტრუქტურა, კერძოდ სასწავლო და ადმინისტრაციის ოთახები, მათ შორის ბიბლიოთეკა, ასევე სველი წერტილები ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N 732 დადგენილების „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მე-5 მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N 41 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, და ახალი დადგენილების 404.2.2 პუნქტის მიხედვით „გზა-კარის თავისუფალი ღიობი უნდა იყოს არაუმცირეს 820 მმ სიგანის. ორმხრივ მოძრავ კარებიანი გზა-კარის თავისუფალი ღიობის სიგანე უნდა გაიზომოს კარის პირიდან გაჩერების ადგილამდე, როდესაც კარი ღიაა 90 გრადუსით. ღიობებს, კარსა და უკარო გზა-კარს, რომელთა სიღრმე 600მმ-ია, უნდა ჰქონდეს არაუმცირეს 900 მმ სიგანის თავისუფალი ღიობი. ასევე, 404.2.4. პუნქტის თანახმად, გზა-კარების ზღურბლები დასაშვებია იყოს არაუმეტეს 13 მმ. სიმაღლის, ამავდროულად გზა-კარებთან შეცვლილი დონეები და ზღურბლები უნდა შეესაბამებოდეს 302-ე და 303-ე ქვეთავებს.

ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ აკადემიაში შეძლებისდაგვარად შექმნილია ადაპტირებული სასწავლო სივრცეები, თუმცა სასწავლო გარემო სრულად არ არის ადაპტირებული შშმ პირების თავისუფლად გადაადგილებისათვის.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.6 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა

132

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ექსპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.6 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს კარის დიობის შესაბამისობაში მოყვანა ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. რათა პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას იყოს ხელმისაწვდომი ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

7.3სდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნება აკადემიის ფინანსური რესურსით, პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისგან. ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტით განსაზღვრულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი-16 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის განხორციელების ხარჯები მოიაზრებს: შრომის ანაზღაურებას, პროფესიულ განვითარებას, ადმინისტრაციულ ხარჯებს, სასწავლო მასალის ხარჯებს.


დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკადემიის მატერიალური რესურსი;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება,
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ფაქტობრივი გარემოება;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

აკადემიას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რაც დოკუმენტირებულია შიდა რეგულაციაში „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესში“, რომელიც ეყრდნობა დემინგის ციკლს და მუშაობის დროს მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებს. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ყველა ძირითადი პროცესი ექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას. ხარისხის მართვის სამსახური პროგრამების შემოწმებისას ახორციელებს: პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროფესიული სტუდენტის, პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ობიექტის გამოკითხვას; საგანმანათლებლო პროცესზე დასწრებას და დაკვირვებას; პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაციას. პროგრამის შემოწმების შედეგები წარედგინება აკადემიის დირექტორს. ექსპერტთა შეფასებით, **აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 2.3.1.1 შესაბამისია**

2.3.1.2 ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

აკადემიას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის განვითარებას და ცვლილებების განხორციელების შემთხვევებს და ცვლილებების განხორციელების პროცედურას. აკადემიის ხარისხის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე-განავითარე“ მოდელზე. პროგრამის შეფასება ხდება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებზე დაყრდნობით, რომლის ფარგლებში ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის (პროფესიული სტუდენტი, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი) გამოკითხვა და შედეგების ანალიზი. ექსპერტთა შეფასებით, **აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 2.3.1.2 შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის სამსახურის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსებთან გასაუბრება.



შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

7. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
8. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
9. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
10. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
11. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
12. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება N10-ით მუხლი 6; 7; 2026წ. 14 აპრილი). სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. სწავლება განხორციელდება შესაბამისი სასწავლო გეგმით, რომელშიც გაწერილია მოდულების თანმიმდევრობა კვირების მიხედვით და ყოველ კვირაში შესასრულებელი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მეცადინეობის განრიგები შემუშავებულია სასწავლო გეგმების შესაბამისად და პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად.



აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით (ბრძანება N10 „სსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმი. 20 აპრილი 2026წ.). განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები. დაწესებულება მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება; ინდივიდუალური მეცადინეობები; პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე დარეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მიღებული განათლების აღიარებას და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელებას შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე. პროფესიული სტუდენტებს აქვთ მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებაში“. დაწესებულებაში შემუშავებული ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება იმოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად გაითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით დგინდება, რომ სწავლება იწარმოებს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ გარემოში, შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებლებს საშუალებას მისცემს ინოვაციური მიდგომები გამოიყენონ სწავლების პროცესში. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება და სხვა. ექსპერტთა შეფასებით სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და სტუდენტთა პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.



აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლებსა გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას გათვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ექსპერტთა მიერ გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისია

5.3სდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

აკადემიის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორებთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები, პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები. ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. აკადემიას ამ პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს ბათუმი დეველოპმენტ ალიანსთან, ასევე შპს „სეივ დეველოპმენტთან.“

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისია



6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

რეგულირდება აკადემიის დირექტორის 01 აპრილის 2026წ. ბრძანება N13-ით: „აკადემიის უსაფრთხოების წესების, შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და ევაკუაციის წესის დამტკიცების შესახებ.“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას საჭიროებს, სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ყველა აუდიტორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები. ასევე, A/C სასწავლო გარემოში ქიმიურ-ტექნოლოგიურ ლაბორატორიაში (ნებისმიერი პროგრამისთვის და მითუმეტეს „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ განსახორციელებლად აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ქიმიური საფრთხე და მისგან გამომდინარე რისკების შეფასება, ამიტომ ქიმიური ლაბორატორია და მისი მოწყობის ნორმების დაცვა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნარჩენების მართვა, ნარჩენების სეპარირება და უტილიზაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მარტო ამ პროგრამის, არამედ აკადენიაში ნებისმიერი სხვა პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი უსაფრთხო გარემოს შესანარჩუნებლად.)თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები, ნარჩენების უტილიზაციის წესები, უტილიზაციისთვის აუცილებელი ჭურჭელი (როგორც სითხოვანი, ასევე მყარი ნარჩენებისთვის), დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება უტილიზაციის კომპანიასთან “ეკომედთან”(16/07.2026. ხელშეკრულება მომსახურების შესახებ 06-15) რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც განხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რომლის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.


აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- საგანმანათლებლო პროგრამის „„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები““ - სასწავლო გეგმა;
- კალენდარული გეგმები;
- პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები.
- „აკადემიის უსაფრთხოების წესების, შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების
- უზრუნველყოფის და ევაკუაციის წესის დამტკიცების შესახებ.“ ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

- 1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
- 2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
- 3.ასდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
- 4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.


კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

აკადემიის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ მუხლით რეგულირდება „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება“, დოკუმენტის თანახმად, ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის, ვალიდურობის, სტანდარტულობის, პრაქტიკულობის, გამჭვირვალობის პირობებს; შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეადგინოს მოდულის განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა; შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების ან არ გამოცხადების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი (განმეორებითი) შეფასება მაქსიმუმ 2-ჯერ არაუგვიანეს განმსაზღვრელი შეფასებიდან 10 დღისა, იმ მოდულისათვის, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას. მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან არ გამოცხადების შემთხვევაში, იმ მოდულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი (განმეორებით) შეფასების მაქსიმუმ 2-ჯერ პროგრამის დასრულებამდე.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

დაწესებულების „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, ვერიფიკაციის პროცესს განახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები, საჭიროების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, აკადემია ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.



დაწესებულების დირექტორის ბრძანება N12 მუხლი 34) სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის/მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი“ განსაზღვრულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის თანახმადაც, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა ინახება აკადემიაში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და ოქმები ინახება უვადოდ. დაწესებულებამ წარმოადგინა ჟურნალი, სადაც ხდება მტკიცებულებებისა და უწყისების აღრიცხვა.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის“ მიხედვით, სტუდენტთა ინფორმირება მიღწეულ შედეგთან დაკავშირებით) შეფასების შემდეგ სტუდენტები მიიღებენ უკუკავშირის მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს სამი დღისა). პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების შედეგების გაცნობისას ინდივიდუალურად გაუწევენ კონსულტაციას დაშვებული შეცდომებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სასწავლო გეგმა;
2. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
3. „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებები“
4. შეფასების უწყისების ნიმუშები;
5. გასაუბრების შედეგები.



შეფასება:

- ☒ შესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





პროგრამის სახელწოდება	ბულალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმალესი პროფესიული კვალიფიკაცია ბულალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის 2026 წლის 25 მაისის №28 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი ვაჟა-ფშაველას 53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127



II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

144

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:






ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება





2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:


 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
 







5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. შპს „ბათუმის პროფესიული აკადემიი“-ს მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ სრულად შეესაბამება დაწესებულების საგანმანათლებლო პროფილსა და სტრატეგიულ მიზნებს. საგანმანათლებლო პროგრამის, განხორციელებისა და შეფასების წესის (დამტკიცებული შპს „ბათუმის პროფესიული აკადემიი“-ს დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის N10 ბრძანება) შესაბამისად. პროგრამის შესაბამისობა დაწესებულების მისიასა და სტრატეგიასთან დასტურდება შემდეგი ფაქტობრივი გარემოებებით:

ადგილობრივი ბაზრის ანალიზი ადასტურებს, რომ საბუღალტრო მომსახურების სფერო სტაბილურად მოთხოვნიდა, ხოლო წარმოდგენილი პროგრამა სრულად პასუხობს ამ გამოწვევებს.

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს მიღებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციისა შესწავლის ანალიზი ცხადყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება ჯეროვან დასაბუთებას, პასუხობს თანამედროვე ეკონომიკურ მოთხოვნებს და სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.1 მოთხოვნა შესაბამისია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს და მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების ძირითად წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. პროფესიულ სტუდენტთა პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პროცედურები რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით - (შპს „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N12 ბრძანება), რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მიმდინარე მოთხოვნებს. დაშვების წინაპირობებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ლოგიკური ჯაჭვი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტის წინარე ცოდნა იყოს ადეკვატური საიმისოდ, რათა პროგრამით განსაზღვრულ ვადებში (სწავლების ინტენსივობის გათვალისწინებით) ეტაპობრივად მიღწეულ იქნეს ყველა პროფესიული კომპეტენცია.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.2 მოთხოვნა შესაბამისია.



3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

შპს „ბათუმის პროფესიული აკადემია“-ში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის პროცესი ეფუძნება მეთოდოლოგიას, რომელიც რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლით (პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა) მეთოდოლოგიის თანახმად, გაანგარიშება ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს: A და B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. A გარემოში პროფესიულ სტუდენტთა 35 სამუშაო ადგილია A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. B გარემოში - პროფესიულ სტუდენტთა 35 სამუშაო ადგილი. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია 35 კომპიუტერით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით. შესაძლებელია კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით ორცვლიანი მუშაობის რეჟიმი. გათვალისწინებულია პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიურად ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში სხვა პროგრამების გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც აკადემიას საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ორ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ექვსმაგი რაოდენობა. პროგრამას ემსახურება 16 პროფესიული მასწავლებელი. სასწავლო ფართის, მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით აკადემიას შეუძლია მოემსახუროს 70 პროფესიულ სტუდენტს.

საბოლოო რაოდენობის დადგენისას აკადემია ასევე აანალიზებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ფინანსურ მდგრადობას, ბიბლიოთეკისა და ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობას, რაც უზრუნველყოფს განსაზღვრული კონტინენტის რეალისტურობასა და დასაბუთებულობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.3 მოთხოვნა შესაბამისია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიულსტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ინფრასტრუქტურა და დაადგინა, რომ პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ მოთხოვნილი 50 ადგილი სრულ შესაბამისობაშია სასწავლო გარემოების გამტარუნარიანობასთან. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, აკადემია უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების სათანადო პირობებს:

A სასწავლო გარემო (თეორიული სწავლება): პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია 1 აუდიტორია, რომლებიც გამოიყენება ექსკლუზიურად აღნიშნული პროგრამისთვის და გათვლილია თითოეული აუდიტორია 35 პროფესიულ სტუდენტზე.

B სასწავლო გარემო (პრაქტიკული სამუშაოებისათვის) დაწესებულება ფლობს:

ერთ B გარემოს, რომელიც სრულად არის აღჭურვილი 35 სტუდენტზე გათვლილი სამუშაო სივრცით და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერებით.




AB სასწავლო გარემო (კომბინირებული სწავლება): აკადემიას გააჩნია 1 AB ტიპის გარემო, რომლებიც თავისი მულტიფუნქციურობით იძლევა როგორც თეორიული ლექციების, ისე პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების საშუალებას. თითოეული აღნიშნული გარემო აღჭურვილია 35 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი საჭირო ინვენტარით (მერხები, სკამები) და კომპიუტერებით.

მონაცემების ანალიზი ადასტურებს, რომ არსებული კომპიუტერული ლაბორატორიები და აუდიტორიების რაოდენობა იძლევა შესაძლებლობას, თითოეული პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს ინდივიდუალური სამუშაო ადგილით, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროფესიული კომპეტენციების ფორმირებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ზემოაღნიშნული რესურსების, სასწავლო ფართის გამტარუნარიანობისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი 50 სტუდენტი წარმოადგენს რეალისტურ და დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა აკადემიის მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები. შეფასების შედეგად დადგინდა შემდეგი: დაწესებულების ფლობაში არსებული სასწავლო რესურსი სრულად შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ძირითად სასწავლო ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში დაცული რესურსები პასუხობს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

სასწავლო მასალები ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია როგორც მატერიალური (ბეჭდური), ისე ელექტრონული სახით, რაც სტუდენტებს აძლევს არჩევანის და სწავლის პროცესის მოქნილად წარმართვის შესაძლებლობას.

დაწესებულება სრულად ფლობს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ სასწავლო რესურსს, ხოლო მათი მრავალფეროვნება (მატერიალური და ციფრული) ხელს უწყობს სწავლის ხარისხის მდგრადობასა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.4 მოთხოვნა შესაბამისია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას არ გააჩნია არჩევითი მოდული. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.5 მოთხოვნა შესაბამისია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 25 მაისის N28 ბრძანებით.




ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.6 მოთხოვნა შესაბამისია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს არა მხოლოდ ვიწრო სერვისულ ნაწილს, არამედ ფართო კომპეტენციებს. სახელწოდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



„ბუღალტრული აღრიცხვა“ ადეკვატურად აერთიანებს ამ კომპლექსურ უნარებს, ზრდის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და მკაფიო გზავნილია დამსაქმებლისთვის, რომ სპეციალისტს აქვს ბუღალტერიის სრული ციკლის ცოდნა. შესაბამისად, აღნიშნული სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.7 მოთხოვნა შესაბამისია.**

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შპს „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ მიერ წარმოდგენილი პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და შიდაორგანიზაციული რეგულაციების სრული დაცვით. პროგრამა ეფუძნება შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტს (ბუღალტრული აღრიცხვა / Accounting; 04.5.1) და სრულად შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ყველა სავალდებულო ელემენტს: მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, დაშვების წინაპირობებს, ინფორმაციას პროგრამის განხორციელებაში ჩართული თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ, სწავლის შედეგებსა და მათ დეტალურ აღწერას, შეფასების სისტემას, სწავლების მეთოდოლოგიას, დასაქმების სფეროებს, ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ, პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმები, მოდულები, წარმოდგენილია ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.8 მოთხოვნა შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით


- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- ვიზუალური დათვალიერება;
- მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.


შპს „ბათუმის პროფესიული აკადემია“-ში „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სპეციფიკას. აკადემია აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო სივრცეებითა და საჭირო ინვენტარით, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, განივითარონ პროფესიული კომპეტენციები. „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტი ხორციელდება აკადემიის ბაზაზე, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი - აკადემიის იმიტირებულ გარემოში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.1 შესაბამისია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“, განხორციელების მიზნით, აკადემიას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 9 პროფესიული მოდულების, 6 ზოგადი მოდულების. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც გაწერილია კანონმდებლობით დადგენილი არსებითი პირობები და პუნქტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლებთან 1 წლის ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლის მოქმედების ვადაც ნაკლებია როგორც პროგრამის ხანგრძლივობაზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადაზე, რაც ვერ უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი 2.2.1.2 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის “ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ექსპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს წინარე ხელშეკრულების ნიმუშის შემუშავება დამტკიცებას, ახალი შრომითი ხელშეკრულების შემუშავებას, რომელიც დააკმაყოფილებს საქართველოს შრომის კოდექსს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებას(N159/ნ 2024 წლის 15 ოქტომბერი ქ.თბილისი, პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ)ასევე ცნობებით „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ: პირადი საქმეების შევსება, რათა პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ბუღალტრული აღრიცხვა“, ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობისა და აკადემიის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, მათ აქვთ შესაბამისი განათლება ან/და სწავლების, ან/და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.3 შესაბამისია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“, განსაზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.4 შესაბამისია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. „ბუღალტრული აღრიცხვა“ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, გაციფრულებულია და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. აკადემიას აქვს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ბაზაზე წვდომა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.5 შესაბამისია


6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

აკადემიას შიდა რეგულაციებით გაწერილი აქვს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების და სხვა სერვისების მიწოდების წესები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმ/შშმ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ფაქტობრივი გარემოების დადგომის შემთხვევაში, აკადემიის ინფრასტრუქტურა, კერძოდ სასწავლო და ადმინისტრაციის ოთახები, მათ შორის ბიბლიოთეკა, ასევე სველი წერტილები ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N 732 დადგენილების „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მე-5 მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N 41 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, და ახალი დადგენილების 404.2.2 პუნქტის მიხედვით „გზა-კარის თავისუფალი ღიობი უნდა იყოს არაუმცირეს 820 მმ სიგანის. ორმხრივ მოძრავე კარებიანი გზა-კარის თავისუფალი ღიობის სიგანე უნდა გაიზომოს კარის პირიდან გაჩერების ადგილამდე, როდესაც კარი ღიაა 90 გრადუსით. ღიობებს, კარსა და უკარო გზა-კარს, რომელთა სიღრმე 600მმ-ია, უნდა ჰქონდეს არაუმცირეს 900 მმ სიგანის თავისუფალი ღიობი. ასევე, 404.2.4. პუნქტის თანახმად, გზა-კარების ზღურბლები დასაშვებია იყოს არაუმეტეს 13 მმ. სიმაღლის, ამავდროულად გზა-კარებთან შეცვლილი დონეები და ზღურბლები უნდა შეესაბამებოდეს 302-ე და 303-ე ქვეთავებს.

ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ აკადემიაში შეძლებისდაგვარად შექმნილია ადაპტირებული სასწავლო სივრცეები, თუმცა სასწავლო გარემო სრულად არ არის ადაპტირებული შშმ პირების თავისუფლად გადაადგილებისათვის.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.6 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ექსპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.6 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს კარის ღიობის შესაბამისობაში მოყვანა ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. რათა პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას იყოს ხელმისაწვდომი ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამაზე არსებობს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ შემოსავლებსა და ხარჯებს რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით. საპროგნოზო ბიუჯეტით პროგრამა განხორციელდება ვაუჩერული დაფინანსების საფუძველზე. წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 17 სტუდენტს, რაც დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით რეალისტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მაჩვენებელია. პროგრამის შემოსავლის ნაწილი ფორმირდება ვაუჩერული დაფინანსებით. ხარჯვით ნაწილში დეტალურად და ადეკვატურად არის გაწერილი ყველა აუცილებელი კომპონენტი, მათ შორის:

- პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება;
- მასალა და ნედლეული;
- პროფესიული განვითარება;
- ადმინისტრაციული ხარჯი;
- სხვა ხარჯები;
- მოგება;

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):




კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე;
- სასწავლო გეგმები;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

აკადემიას პროგრამის განვითარების მექანიზმები აგებული აქვს დემინგის ციკლის პრინციპის გათვალისწინებით, რაც დოკუმენტირებულია შიდა რეგულაციაში „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესში“, რომლის თანახმად ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება/ანალიზი. შემოწმებას ექვემდებარება პროგრამების შინაარსობრივი ასპექტები, სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობისა და რესურსების ადეკვატურობა, მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობა წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. შეფასებისას ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება ასევე დაინტერესებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მხარეების (პროფესიული სტუდენტების, კურდამთავრებულების, პერსონალის, დამსაქმებლების) კმაყოფილების კვლევა. განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს განვითარების რეკომენდაციებს და წარადგენს დირექტორთან შემდგომი რეაგირებისთვის.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისია

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

აკადემია გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების წესი დოკუმენტირებულია შიდა რეგულაციაში „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შედეგების გამოყენების პროცედურა.
- ანკეტა კითხვარები;
- „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“;

შეფასება:



☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბუღალტრული აღრიცხვის დირექტორის ბრძანება N10-ით მუხლი 6; 7; 2026წ. 14 აპრილი). სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. სწავლება განხორციელდება შესაბამისი სასწავლო გეგმით, რომელშიც გაწერილია მოდულების თანმიმდევრობა კვირების მიხედვით და ყოველ კვირაში შესასრულებელი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მეცადინეობის განრიგები შემუშავებულია სასწავლო გეგმების შესაბამისად და პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისია

2.3.სდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით (ბრძანება N10 „სსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმი. 20 აპრილი 2026წ.). განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები. დაწესებულება მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება; ინდივიდუალური მეცადინეობები; პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე დარეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მიღებული განათლების აღიარებას და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელებას შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე. პროფესიული სტუდენტებს აქვთ მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებაში“. დაწესებულებაში შემუშავებული ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება იმოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად გაითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისია



3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით დგინდება, რომ სწავლება იწარმოებს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ გარემოში, შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებლებს საშუალებას მისცემს ინოვაციური მიდგომები გამოიყენონ სწავლების პროცესში. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება და სხვა. ექსპერტთა შეფასებით სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



და სტუდენტთა პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულების წარმომადგენლებსა გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ექსპერტთა მიერ გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; პროგრამა განხორციელდება იმიტირებული ფორმით.


აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა, არ მოითხოვს უსაფრთხოების განსაკუთრებულ მოთხოვნებს. აკადემიას სასწავლო პროცესისა და საქმიანობის უსაფრთხო გარემოში განხორციელების მიზნით, შერჩეული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი. აკადემიის პირველადი დახმარების კაბინეტი სასწავლო პროცესის სივრცეშია განთავსებული.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით;
2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
3. საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ - სასწავლო გეგმა;
4. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას


1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აკადემიის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ მუხლით რეგულირდება „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება“, დოკუმენტის თანახმად, ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის, ვალიდურობის, სტანდარტულობის, პრაქტიკულობის, გამჭვირვალობის პირობებს; შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეადგინოს მოდულის განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა; შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების ან არ გამოცხადების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი (განმეორებითი) შეფასება მაქსიმუმ 2-ჯერ არაუგვიანეს განმსაზღვრელი შეფასებიდან 10 დღისა, იმ მოდულისათვის, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან არ გამოცხადების შემთხვევაში, იმ მოდულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი (განმეორებით) შეფასებისა მაქსიმუმ 2-ჯერ პროგრამის დასრულებამდე.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისია


2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

დაწესებულების „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, ვერიფიკაციის პროცესს განახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები, საჭიროების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, აკადემია ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

დაწესებულების დირექტორის ბრძანება N12 მუხლი 34) სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის/მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი“ განსაზღვრულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის თანახმადაც, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა ინახება აკადემიაში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და ოქმები ინახება უვადოდ. დაწესებულებამ წარმოადგინა ჟურნალი, სადაც ხდება მტკიცებულებებისა და უწყისების აღრიცხვა.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის“ მიხედვით, სტუდენტთა ინფორმირება მიღწეულ შედეგთან დაკავშირებით) შეფასების შემდეგ სტუდენტები მიიღებენ უკუკავშირის მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს სამი დღისა). პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების შედეგების გაცნობისას ინდივიდუალურად გაუწევენ კონსულტაციას დაშვებული შეცდომებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისია


დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ სასწავლო გეგმა;
2. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
3. „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებები“
4. შეფასების უწყისების ნიმუშები;
5. გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





შეფასება:

- ☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე

167


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 25 მაისის #28 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

3 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:















სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება


2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:






5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის #10 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის განხორციელებისა და შეფასების წესი“-თ, რომლის თანახმადაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს აკადემია, დამსაქმებელი, საინიციატივო ჯგუფი და სხვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით იქმნება პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შესაძლებელია შედიოდეს პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი, მოწვეული ექსპერტი და სხვა. სამუშაო ჯგუფი შემუშავებული პროგრამის მთლიან პაკეტს შეფასებისთვის გადასცემს აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერს, რის შემდეგაც მენეჯერი პროგრამას დამტკიცებისთვის გადასცემს აკადემიის დირექტორს.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ადაპტირებისა და დანერგვა/დამატების შესახებ რეგულაციები გაწერილი აქვს ასევე აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის #12 ბრძანებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება ეყრდნობა ადრეული სკოლამდელი განათლების სექტორში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებსა და ამ მიმართულებით საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევებს. ამასთანავე დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობს აჭარის რეგიონში არსებული სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანებებთან. აკადემიამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის განსაზღვრისას გაითვალისწინა საქართველოს შრომის ბაზარზე აღმზრდელის პროფესიაზე არსებული მოთხოვნა სხვადასხვა კვლევის საფუძველზე. ერთ-ერთი ასეთი არის UN-ის კვლევა, რომლის მიხედვით ბაგა-ბაღებში დასაქმებულია არაკვალიფიციური კადრი, რომელთა უმრავლესობას არ აქვს არანაირი კვალიფიკაცია. სკოლამდელი განათლების პროფესიული პროგრამა საუკეთესო საშუალებაა პროფესიული და კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. ამ კვლევის მიხედვით: არასაკმარისის რაოდენობის საბავშვო ბაღის გამო, დაახლოებით 14 000 ბავშვი ვერ დადის საბავშვო ბაღში. აჭარის რეგიონში საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ინფორმაციით ფუნქციონირებს 145 საბავშვო ბაგა-ბაღი, რომლებიც მომსახურებას უწევენ დაახლოებით 14406 აღსაზრდელს, დასაქმებული კი მხოლოდ 1752 აღმზრდელია. 2025/2026 წლის მონაცემებით საქართველოში 1717 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაა, 130337 აღსაზრდელია და 19176 აღმზრდელ პედაგოგი/აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწეა ეს კი მხოლოდ საჯარო დაწესებულებების სტატისტიკაა. ამაში არ შედის კერძო სააღმზრდელო დაწესებულებები. აღნიშნული მონაცემები თანდათანობით იზრდება, რაც დაკავშირებულია ბაღების ინფრასტრუქტურულ განახლებასთან – ახალი ბაღების გახსნასთან და არსებული შენობების რეაბილიტაციასთან. პროგრამა ბავშვზეა ორიენტირებული. პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც აყალიბებენ ბავშვზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესს, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას, პასუხობს აღსაზრდელების ინტერესებსა და საჭიროებებს, უზრუნველყოფს უსაფრთხო და ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნას. აკადემია აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტებთან მათი შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში ახალი სტანდარტების დასანერგად. აკადემიის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის კვალიფიციური კადრის მომზადება და მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დარგში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, ასევე ქვეყნის სტრატეგიული მიზნები ამ მიმართულებით ადასტურებს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მიზანშეწონილობას.

გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ განხორციელებასთან დაკავშირებით ეფუძნება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.


აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

173

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი განათლება“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“–ში, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის #12 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები, უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისია

3. კსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

აკადემია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (მუხლი 12. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა) შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, აღჭურვილობას, საჭირო სასწავლო გარემოს, პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების რაოდენობასა და რესურსს. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისია**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;




აკადემიის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამას არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი განათლება“ დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის ბრძანებით N28 25.05.2026. შევიდა ცვლილებები დირექტორის N 01.31. 08.06. 2026 ბრძანებით

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;


პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა „სკოლამდელი განათლება“, იგი არ არის შეცდომაში შემყვანი ვინაიდან შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სკოლამდელი აღზრდის პროფესიასთან. პროგრამის სწავლის შედეგებია: 1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; 2. მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა; 3. ბავშვის განვითარების ხელშეწყობი სტრატეგიების გამოყენება; 4. წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა;

პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელო“ საფუძველზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



8. კსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/5 ბრძანებით დამტკიცებული “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ.

პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია (სავარაუდო ხანგრძლივობა 71 სასწავლო კვირა), აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული)



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია (სავარაუდო ხანგრძლივობა 91 სასწავლო კვირა).

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის #10 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის განხორციელებისა და შეფასების წესი“;
- შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“;
- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- დაწესებულების დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი



1.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

- 1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
- 2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა დაწესებულების ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება, აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ერთი A და ერთი B გარემო, თითოეული აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსით 30 პროფესიულ სტუდენტზე (მაგიდა და სკამი), თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია 1 კომპიუტერი, 1 პრინტერი, 1 დაფა, 1 დემონსტრირების საშუალება და 1 პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი).

საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი განათლება“ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან (20.05.2026წელი #30). აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულია იღებს უზრუნველყოფის ზემოაღნიშნული მოდულების განხორციელება გაერთიანებაში შემავალ სხვადასხვა ბაღებთან და მომსახურება გაუწიოს აკადემიის 60 პროფესიულ სტუდენტს.



ექსპერტები გაესაუბრნენ ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელს, რომელმაც მზაობა გამოთქვა აკადემიის პროფესიული სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ გაერთიანებაში შედის 18 ბაგა-ბაღი (მათ შორის 2 ავტორიზებული), სადაც სულ 68

178

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სააღმზრდელო ჯგუფია. პროფესიული სტუდენტების გადამწილვა მოხდება გაერთიანების მიერ შერჩეულ რამოდენიმე ბაღში, რომელიც დაკომპლექტებული იქნება აღსაზრდელთა ყველა ასაკობრივი ჯგუფითა და გამოცდილი და კომპეტენტური კადრით. სტუდენტებს საშუალება ექნებათ პრაქტიკის განმავლობაში მონაცვლეობით გადამწილდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, დააკვირდნენ ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებსა და მათი ასაკის შესაბამისად მიმდინარე სასწავლო სააღმზრდელო პროცესს, ჯგუფში არსებულ წესებს, ყოველდღიურ რეჟიმს და სხვა.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისია.

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ განხორციელების მიზნით, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი პირი, სასწავლო გეგმის და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი.

პროგრამით გათვალისწინებულია 10 დარგობრივი, 6 ზოგადი და 1 ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი პირი, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის წესის მიხედვით. თითო მოდულის განხორციელებისთვის აკადემიას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს.



თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან 1 წლის ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლის მოქმედების ვადაც ნაკლებია როგორც პროგრამის ხანგრძლივობაზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადაზე, რაც ვერ უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.2 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ექსპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს წინარე ხელშეკრულების ნიმუშის შემუშავება დამტკიცებას, ახალი შრომითი ხელშეკრულების შემუშავებას, რომელიც დააკმაყოფილებს საქართველოს შრომის კოდექსს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებას (N159/ნ 2024 წლის 15 ოქტომბერი ქ.თბილისი, პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ) ასევე ცნობებით „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ: პირადი საქმეების შევსება, რათა პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;



პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. დაწესებულების მიერ შერჩეულ პროფესიული განათლების მასწავლებლების უმრავლესობას აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რის მიხედვითაც დადგინდა, რომ აღნიშნული პირები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში და მათ უმრავლესობას აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ მოდულების „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ და „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვებთან მუშაობა“ განმახორციელებელ მასწავლებლებს არ აქვთ აღნიშნული მოდულების სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.


მოდულის „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ განმახორციელებელთა კომპეტენცია სრულად არ შეესაბამება მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასების მოთხოვნებს. მოდულის შინაარსი მოიცავს, როგორც პირველადი გადაუდებელი დახმარების საკითხებს, ასევე სკოლამდელი განათლების გარემოში ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, არსებული კურიკულუმიდან გამომდინარე ეკოლოგიური განათლებისა და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს ორგანიზების პრაქტიკულ ასპექტებს. შესაბამისად, მოდულის განხორციელებაში ექთნის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტთან ერთად აუცილებელია ჩართული იყოს ადრეული და სკოლამდელი განათლების დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის ან/და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირიც.

მოდულის „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვებთან მუშაობა“ განმახორციელებელის კვალიფიკაცია და პროფესიული კომპეტენცია არ შეესაბამება მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასების მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პირს აქვს სკოლამდელ დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება მუსიკის მასწავლებლის პოზიციაზე, აღნიშნული გამოცდილება ვერ უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული კომპეტენციების გადაცემას. მოდულის ეფექტიანი განხორციელებისათვის აუცილებელია სპეციალური განათლების, ფსიქოლოგის, ან ინკლუზიური განათლების სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტის ჩართულობა.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.3 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან პროგრამა „სკოლამდელი განათლება“-ის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.3 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი განათლების დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის ან და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირთან და ფსიქოლოგის, ინკლუზიური განათლების კვალიფიკაციისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტთან ხელშეკრულების გაფორმება. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება.

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.


აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით. სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპიუტერში. აკადემიის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისია

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;


აკადემიას შიდა რეგულაციებით გაწერილი აქვს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების და სხვა სერვისების მიწოდების წესები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმ/შშმ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ფაქტობრივი გარემოების დადგომის შემთხვევაში, აკადემიის ინფრასტრუქტურა, კერძოდ სასწავლო და ადმინისტრაციის ოთახები, მათ შორის ბიბლიოთეკა, ასევე სველი წერტილები ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N 732 დადგენილების „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მე-5 მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N 41 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, და ახალი დადგენილების 404.2.2 პუნქტის მიხედვით „გზა-კარის თავისუფალი ღიობი უნდა იყოს არაუმცირეს 820 მმ სიგანის. ორმხრივ მოძრავე კარებიანი გზა-კარის თავისუფალი ღიობის სიგანე უნდა გაიზომოს კარის პირიდან გაჩერების ადგილამდე, როდესაც კარი ღიაა 90 გრადუსით. ღიობებს, კარსა და უკარო გზა-კარს, რომელთა სიღრმე 600მმ-ია, უნდა ჰქონდეს არაუმცირეს 900 მმ სიგანის თავისუფალი ღიობი. ასევე, 404.2.4. პუნქტის თანახმად, გზა-კარების ზღურბლები დასაშვებია იყოს არაუმეტეს 13 მმ. სიმაღლის, ამავდროულად გზა-კარებთან შეცვლილი დონეები და ზღურბლები უნდა შეესაბამებოდეს 302-ე და 303-ე ქვეთავებს.

ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ აკადემიაში შეძლებისდაგვარად შექმნილია ადაპტირებული სასწავლო სივრცეები. თუმცა სასწავლო გარემო სრულად არ არის ადაპტირებული შშმ პირების თავისუფლად გადაადგილებისათვის.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.6 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.6 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს კარის ღიობის შესაბამისობაში მოყვანა ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. რათა პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას იყოს ხელმისაწვდომი ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი რეგულარულად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

7.3სდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი განათლება“ შედგენილია სავარაუდო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 17 პროფესიული სტუდენტი;

შემოსავლების ნაწილი მოიცავს ვაუჩერულ დაფინანსებას. ხოლო ხარჯების ნაწილი მოიაზრებს: ხელფასის, სასწავლო მასალის, ადმინისტრაციული ხარჯის, პროფესიული განვითარების, მოგებისა და სხვა ხარჯებს.



აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- პირადი საქმე;
- პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- „სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი „
- გასაუბრების შედეგები;
- ბიუჯეტის ფორმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

3. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
4. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.




კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
- აკადემიას პროგრამის განვითარების მექანიზმები აგებული აქვს დემინგის ციკლის პრინციპის გათვალისწინებით, რაც დოკუმენტირებულია შიდა რეგულაციაში „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესში“, რომლის თანახმად ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება-ანალიზი. შემოწმებას ექვემდებარება პროგრამების შინაარსობრივი ასპექტები, სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობისა და რესურსების ადეკვატურობა, მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობა წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. შეფასებისას ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება ასევე დაინტერესებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მხარეების (პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის, დამსაქმებლების) კმაყოფილების კვლევა. განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს განვითარების რეკომენდაციებს და წარადგენს დირექტორთან შემდგომი რეაგირებისთვის.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისია

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

აკადემია გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განხორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების წესი დოკუმენტირებულია შიდა რეგულაციაში „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შედეგების გამოყენების პროცედურა.
- „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“;


შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;



პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას; პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ ვადები ყველა მოდულის გადაბარებასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.3. სდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით (ბრძანება N10 „სსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმი. 20 აპრილი 2026წ.). განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები. დაწესებულება მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება; ინდივიდუალური მეცადინეობები; პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე დარეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მიღებული განათლების აღიარებას და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელებას შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე. პროფესიული სტუდენტებს აქვთ მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებაში“. დაწესებულებაში შემუშავებული ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება იმოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად გაითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით დგინდება, რომ სწავლება იწარმოებს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ გარემოში, შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებლებს საშუალებას მისცემს ინოვაციური მიდგომები გამოიყენონ სწავლების პროცესში. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება და სხვა. ექსპერტთა შეფასებით სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და სტუდენტთა პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულების წარმომადგენლებსა გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას გათვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ექსპერტთა მიერ გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისია

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

აკადემიის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორებთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები, პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები. ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა.




აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა, არ მოითხოვს უსაფრთხოების განსაკუთრებულ მოთხოვნებს. აკადემიას სასწავლო პროცესისა და საქმიანობის უსაფრთხო გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



განხორციელების მიზნით, შერჩეული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი. აკადემიის პირველადი დახმარების კაბინეტი სასწავლო პროცესის სივრცეშია განთავსებული. გამოყოფილია ასევე პირველადი დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი ექთანი.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით;
2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
3. საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ – სასწავლო გეგმა;
4. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები;
5. პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები.




2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

აკადემიის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ მუხლით რეგულირდება „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება“, დოკუმენტის თანახმად, ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის, ვალიდურობის, სტანდარტულობის, პრაქტიკულობის, გამჭვირვალობის პირობებს; შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეადგინოს მოდულის განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა; შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების ან არ გამოცხადების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი (განმეორებითი) შეფასება მაქსიმუმ 2-ჯერ არაუგვიანეს განმსაზღვრელი შეფასებიდან 10 დღისა, იმ მოდულისათვის, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან არ გამოცხადების შემთხვევაში, იმ მოდულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი (განმეორებით) შეფასებისა მაქსიმუმ 2-ჯერ პროგრამის დასრულებამდე.


აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

დაწესებულების „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, ვერიფიკაციის პროცესს განახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები, საჭიროების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, აკადემია ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

დაწესებულების დირექტორის ბრძანება N12 მუხლი 34) სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის/მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი“ განსაზღვრულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის თანახმადაც, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა ინახება აკადემიაში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და ოქმები ინახება უვადოდ. დაწესებულებამ წარმოადგინა ჟურნალი, სადაც ხდება მტკიცებულებებისა და უწყისების აღრიცხვა.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის“ მიხედვით, სტუდენტთა ინფორმირება მიღწეულ შედეგთან დაკავშირებით) შეფასების შემდეგ სტუდენტები მიიღებენ უკუკავშირის მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს სამი დღისა). პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების შედეგების გაცნობისას ინდივიდუალურად გაუწევენ კონსულტაციას დაშვებული შეცდომებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ.




აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ სასწავლო გეგმა;
2. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
3. „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებები“
4. შეფასების უწყისების ნიმუშები;
5. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	საბაჟო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1032
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის 2026 წლის 25 მაისის №28 ბრძანება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი ვაჟა-ფშაველას 53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:


 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
 





ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒


ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება პროფესიულ პროგრამაზე მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას (60).

შპს „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ თანამშრომლობა „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან — შპს „ნოვა“-სთან დასტურდება 2026 წლის 22 მაისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით. ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებულია 60 პროფესიული სტუდენტის მიღება სხვადასხვა ობიექტზე, თუმცა პარტნიორის წარმომადგენელთან ადგილზე ვიზიტით და ინტერვიუებით დადგინდა, რომ ობიექტს ერთდროულად მხოლოდ 10 სტუდენტის მიღება შეუძლია. არსებული მდგომარეობით დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტის მემორანდუმი აქვს გაფორმებული „ნოვასთან“ და მას მხოლოდ 10 სტუდენტის მიღება შეუძლია, აქედან გამომდინარე ექსპერტებმა მიიჩნიეს რომ აღნიშნულ პროგრამაზე 60 სტუდენტის მაგივრად დაწესებულებას შეუძლია მიიღოს მხოლოდ 10 სტუდენტი.

შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულების მხრიდან მოხდა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, თუმცა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის შესაბამისად, ვერ მოხდა ექსპერტთა მხრიდან დოკუმენტების შესწავლა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნება უშუალოდ ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში ადგილზე დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, შესაბამისად დასკვნის მომზადების ეტაპზე, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს ვიზიტისას დაფიქსირებული მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, პროგრამაზე „საბაჟო საქმე“ მისარები სტუდენტთა რაოდენობა კვლავ რჩება 10. ქვოტის ცვლილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ადგილზე ვიზიტისას, მონიტორინგის შეფასების შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:


 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
 




	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება




2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:


 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
 







4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

განხილული დოკუმენტაციისა და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „საბაჟო საქმის“ – განხორციელებასთან დაკავშირებით ეფუძნება აჭარის რეგიონში ამ პროფესიის კადრებზე გაზრდილ მოთხოვნას. ეს გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ რეგიონში მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი საბაჟო გამშვები პუნქტი – სარფის საბაჟო გამშვები პუნქტი, ასევე ბათუმის პორტი, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, ბათუმის გაფორმების ეკონომიკური ზონა და სხვადასხვა საბაჟო ტერმინალი. შესაბამისად, საბაჟო საქმის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო (სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი), ისე კერძო სექტორში (საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადამზიდველი და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყობები და ტერმინალები). საჯარო სექტორში იგი შეიძლება დასაქმდეს საბაჟო გამშვები პუნქტის ან საბაჟო გაფორმების საბაჟო ოფიცრად, ხოლო კერძო სექტორში – საბაჟო ბროკერად, საბაჟო დეკლარანტად თუ საბაჟო გაფორმების სპეციალისტად. ეს ფუნქციები შესაძლოა შერწყმულ იქნეს ლოგისტიკის სპეციალისტისა და საბაჟო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტერმინალის მომსახურების განყოფილების სპეციალისტის ფუნქციებთან. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე – ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულებით.

პროგრამის განხორციელების დასაბუთებაში ასახულია საბაჟო საქმის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების, საერთაშორისო ვაჭრობისა და სახელმწიფო საზღვრის ეფექტიანი მართვის კუთხით. დაწესებულების მიერ შესწავლილია შესაბამისი კვლევები და სტრატეგიული დოკუმენტები, რაც მიუთითებს პროგრამის საჭიროების შეფასების ჯეროვან პროცესზე.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ სრულად და დეტალურად არეგულირებს პროგრამაზე დაშვებისა და აპლიკანტთა შერჩევის პროცედურებს. რეგულაცია ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკისა და დარგობრივი კონტექსტის ასახვას (ტესტირების, გასაუბრებისა და დარგის სპეციალისტების/დამსაქმებლების ჩართულობის გზით). **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისია**

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;



შპს „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ 2026 წლის 20 აპრილის №12 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-12 მუხლით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლითაც რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხი სტუდენტების ზღვრული ოდენობა.

დაწესებულების მიერ „საბაჟო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 60 პროფესიული სტუდენტის ზღვრული ოდენობა. ზღვრული ოდენობის დასაბუთებისას წარმოდგენილი იყო A და B სასწავლო გარემოში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარი, ფართი და ადამიანური რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დოკუმენტური შემოწმებით გამოიკვეთა, რომ დასაბუთებაში მითითებულია 16 პროფესიული მასწავლებელი, თუმცა დამტკიცებული პროგრამის მიხედვით მას რეალურად ემსახურება 14 პროფესიული მასწავლებელი (7 დარგობრივი, 6 ზოგადი და 1 ქართული ენის მოდულის მასწავლებელი). აღნიშნული ადამიანური რესურსი სრულიად საკმარისია პროგრამის ეფექტიანად განსახორციელებლად.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

„საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსების შესწავლისა და მოდულების სწავლის შედეგებთან შედარების საფუძველზე დასტურდება, რომ არსებული ბაზა სრულად ადეკვატურია დარგობრივი მოდულების სწავლებისათვის. პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების სრულფასოვნად ათვისებას.

ამასთანავე, აკადემიას უზრუნველყოფილი აქვს წვდომა ოფიციალურ საკანონმდებლო ვებგვერდზე— www.matsne.gov.ge, რაც სტუდენტებსა და მასწავლებლებს აძლევს საშუალებას სასწავლო პროცესში გამოიყენონ განახლებული ნორმატიული ბაზა, საბაჟო კანონმდებლობა და მარეგულირებელი აქტები. აღნიშნული ელექტრონული რესურსი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას,

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;




საგანმანათლებლო პროგრამა არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის ბრძანებით. აკადემიის დებულების თანახმად პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი აკადემიის დირექტორია.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის რეალურ პროფილს და შესაბამის სწავლის შედეგებს, არ გვხვდება რაიმე ტერმინოლოგიური შეუსაბამობა ან ისეთი ფორმულირება, რომელმაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს პროფესიული სტუდენტი ან დამსაქმებელი პროგრამის შინაარსთან, დონესთან ან მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.




„საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრები და მოდულები ძირითადად შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს. პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა.

პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა და ითვალისწინებს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს. სასწავლო გეგმის ანალიზით დასტურდება, რომ მასში დაცულია მოდულების წინაპირობები, გათვალისწინებულია დროის შუალედები სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასებისათვის, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკადემიის მისია
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი




1. **2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით
1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

202

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საბაჟო საქმე“ გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკადემიასა და პრაქტიკის ობიექტზე. დოკუმენტაციის მიხედვით, აკადემიის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 60 სტუდენტს (ორ ცვლაში). გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ დაწესებულება პირველ ეტაპზე/წელს გეგმავს 30 სტუდენტის მიღებას.

A ტიპის სასწავლო გარემო განკუთვნილია თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის (30 სამუშაო ადგილი). იგი აღჭურვილია სტუდენტებისა და პედაგოგის მაგიდა-სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. ამავე სივრცეში განთავსებულია სასწავლო ინვენტარი (ხელბარგი, ბრტყელტუჩა, მანძილმზომი და ა.შ.).

B ტიპის სასწავლო გარემო წარმოადგენს 30-ადგილიან კომპიუტერულ ლაბორატორიას, რაც ორი ცვლის პირობებში სრულად აკმაყოფილებს 60 სტუდენტის ზღვრულ რაოდენობას. თუმცა, დოკუმენტაციის შესწავლითა და გასაუბრებით დადგინდა, რომ აკადემიას ამ ეტაპზე არ აქვს დაშვება შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეკლარირების ელექტრონულ სისტემაზე (E-customs-ის სატესტო სერვერზე). დაწესებულების განმარტებით, ამ

სა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართულებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები შემოსავლების სამსახურთან. წვდომის არარსებობა მოცემულ მომენტში შეუძლებელს ხდის მოდულის - „საბაჟო დეკლარირება“ - სწავლის შედეგების მიღწევასა და დეკლარაციის შევსების პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან პროგრამა „საბაჟო საქმის“ -ის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში (ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ექსპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.1 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს ხელშეკრულებების გაფორმებას იმ კომპანიებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. **კერძოდ: დაშვება შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეკლარირების ელექტრონულ სისტემაზე (E-customs-ის სატესტო სერვერზე).** ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.



2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მასწავლებლები გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობენ სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და სხვ). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, აკადემიას წინარე ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს მაღალკვალიფიციურ, გამოცდილ პროფესიულ მასწავლებლებთან. პერსონალის დატვირთვა შესაბამისობაშია საკანონმდებლო მოთხოვნებთან. თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან 1 წლის ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლის მოქმედების ვადაც ნაკლებია როგორც პროგრამის ხანგრძლივობაზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადაზე, რაც ვერ უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.2 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.2 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს წინარე ხელშეკრულების ნიმუშის შემუშავება დამტკიცებას, ახალი შრომითი ხელშეკრულების შემუშავებას, რომელიც დააკმაყოფილებს საქართველოს შრომის კოდექსს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებას(N159/ნ 2024 წლის 15 ოქტომბერი ქ.თბილისი, პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ)ასევე ცნობებით „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ: პირადი საქმეების შევსება, რათა პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.


3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ადგილზე ვიზიტისას შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (დიპლომები, სერტიფიკატები, CV, სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები და შრომითი ხელშეკრულებები).

დოკუმენტაციის შესწავლითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ ყველა პროფესიულ მასწავლებელს აქვს შესაბამისი დარგობრივი განათლება და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. თითოეული მასწავლებლის კომპეტენცია სრულად შეესაბამება მათ მიერ განსაზღვრებული მოდულების სწავლის შედეგებსა და დაწესებულების შიდა რეგულაციით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლისა და მასთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი. თანამდებობრივი ინსტრუქციისა და ფუნქცია-მოვალეობების ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის ხელმძღვანელს განსაზღვრული აქვს ისეთი ფუნქციები, რომელთა განხორციელებაც უშუალოდ მოითხოვს საბაჟო სფეროს სიღრმისეულ დარგობრივ ცოდნასა და გამოცდილებას.


აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საბაჟო საქმე“ საჭირო საგანმანათლებლო რესურსები დაწესებულებაში ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების საკითხები რეგულირდება აკადემიის დირექტორის ბრძანება N12-ით და ამავე ბრძანების დანართი N1 (2026წ. 5 მაისი) „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება აკადემიის ყველა პროფესიული სტუდენტისათვის. ასევე პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, კატალოგთან ერთად, ელექტრონული სახით ხელმისაწვდომი იქნება. პროფესიულ სტუდენტს თავისუფლად შეეძლება მისი ასლის საკუთარ ელ.ფოსტაზე გაგზავნა, ან ნაბეჭდი ფორმით მოკლე ამონარიდის მიღება. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი, სადაც განთავსებულია სამი პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველოში თვალსაჩინო ადგილზე.

206

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისია

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

აკადემიას შიდა რეგულაციებით გაწერილი აქვს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების და სხვა სერვისების მიწოდების წესები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმ/შშმ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ფაქტობრივი გარემოების დადგომის შემთხვევაში, აკადემიის ინფრასტრუქტურა, კერძოდ სასწავლო და ადმინისტრაციის ოთახები, მათ შორის ბიბლიოთეკა, ასევე სველი წერტილები ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N 732 დადგენილების „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მე-5 მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N 41 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, და ახალი დადგენილების 404.2.2 პუნქტის მიხედვით „გზა-კარის თავისუფალი ღიობი უნდა იყოს არაუმცირეს 820 მმ სიგანის. ორმხრივ მოძრავ კარებიანი გზა-კარის თავისუფალი ღიობის სიგანე უნდა გაიზომოს კარის პირიდან გაჩერების ადგილამდე, როდესაც კარი ღიაა 90 გრადუსით. ღიობებს, კარსა და უკარო გზა-კარს, რომელთა სიღრმე 600მმ-ია, უნდა ჰქონდეს არაუმცირეს 900 მმ სიგანის თავისუფალი ღიობი. ასევე, 404.2.4. პუნქტის თანახმად, გზა-კარების ზღურბლები დასაშვებია იყოს არაუმეტეს 13 მმ. სიმაღლის, ამავდროულად გზა-კარებთან შეცვლილი დონეები და ზღურბლები უნდა შეესაბამებოდეს 302-ე და 303-ე ქვეთავებს.

ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ აკადემიაში შემღებისდაგვარად შექმნილია ადაპტირებული სასწავლო სივრცეები, თუმცა სასწავლო გარემო სრულად არ არის ადაპტირებული შშმ პირების თავისუფლად გადაადგილებისათვის.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.6 მეტწილად არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში(ცენტრში რეგისტრაციის N1130085 - 02/09/2026). აკადემიამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,(შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია შ.პ.ს. „ბათუმის პროფესიული აკადემიის “ დირექტორის ბრძანებით N 01.29. 27.05.2026, ცვლილებები განხორციელდა დირექტორის N01.36 . 22.06 2026 ბრძანებით და ესპერტთა დასკვნის პროექტის შემდგომ დაკორექტირდა და დამტკიცდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დირექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით), რომლითაც

207

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გათვალისწინებულია აქტივობები 2.2.1.6 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. დაწესებულება, პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს კარის ღიობის შესაბამისობაში მოყვანა ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. რათა პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას იყოს ხელმისაწვდომი ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში ამ პრობლემის აღმოფხვრას.

7.3სდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ ბიუჯეტი, მისი შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილი, აგრეთვე ფინანსური გაანგარიშებების ადეკვატურობა.

წარმოდგენილი ბიუჯეტის ანალიზით დადგინდა, რომ იგი სრულად და რეალისტურად ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა შესაძლო პირდაპირ და არაპირდაპირ დანახარჯს (მათ შორის: პედაგოგთა შრომის ანაზღაურებას, სასწავლო/ხარჯვადი მასალების შესყიდვას, ადმინისტრაციულ და პროფესიული განვითარების ხარჯებს).

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისია


დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
4. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმე;
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
7. ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი;
8. პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



10. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
11. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

5. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირის დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
6. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირის დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

აკადემიას პროგრამის განვითარების მექანიზმები აგებული აქვს დემინგის ციკლის პრინციპის გათვალისწინებით, რაც დოკუმენტირებულია შიდა რეგულაციაში „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესში“, რომლის თანახმად ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება/ანალიზი. შემოწმებას ექვემდებარება პროგრამების შინაარსობრივი ასპექტები, სწავლა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სწავლების პროცესის მიმდინარეობისა და რესურსების ადეკვატურობა, მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობა წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. შეფასებისას ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ განხორციელება ასევე დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტების, კურდამთავრებულების, პერსონალის, დამსაქმებლების) კმაყოფილების კვლევა. განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს განვითარების რეკომენდაციებს და წარადგენს დირექტორთან შემდგომი რეაგირებისთვის. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისია**

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

აკადემია გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების წესი დოკუმენტირებულია შიდა რეგულაციაში „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შედეგების გამოყენების პროცედურა.
- ანკეტა კითხვარები;
- „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“;

შეფასება:

☒ შეესაბამება


☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები



- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 62 სასწავლო კვირა, ხოლო არაქართულენოვანი კონტიგენტისთვის 8 2 სასწავლო კვირა. აკადემიის შიდა რეგულაციით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, რომლის თანახმად, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმის შედგენისას აკადემია ითვალისწინებს პროგრამის/მოდულის სპეციფიკას რომლის დროსაც შესაძლებელია კვირეული დატვირთვა იყოს დადგენილ მინიმალურ ზღვარზე ნაკლები. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები და არსებობის შემთხვევაში

211

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები. აღმზრდელის პროფესიული პროგრამა განხორციელდება პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისია

2.3.სდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

შპს „ბათუმის პროფესიული აკადემია“ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას წარმართავს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების დაცვით. დაწესებულებაში მოქმედებს მოქნილი სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათზე ოპერატიულ რეაგირებას.

ინდივიდუალური საჭიროებების მხარდასაჭერად აკადემიაში მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მკაფიო წესი, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, მათ შორის სსსმ და შშმ პირებს, სასწავლო პროცესი დააგეგმონ საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების დადასტურებისა და განმეორებითი შეფასების ხელმისაწვდომი პროცედურები. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა უფასოდ, ორჯერ ხელახლა დაადასტუროს უარყოფითი შედეგი, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში ისარგებლოს აპელაციის უფლებით.

დაწესებულების შიდა რეგულაციები ასევე მოქნილად ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენის, შიდა და გარე მობილობის, აგრეთვე პროგრამის გაუქმების ან ცვლილების შემთხვევაში სტუდენტის ინტერესების მაქსიმალურ დაცვას.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;


„საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაციით განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.

მასწავლებლებს აქვთ დიდი პრაქტიკული გამოცდილება, თეორიული ცოდნა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების უნარები იმ მოდულებში, რომელთა სწავლებაც მათ უნდა განახორციელონ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების მხრიდან აღნიშნული საჭიროება იდენტიფიცირებულია და მასზე რეაგირება უკვე გათვალისწინებულია, რაც ითვალისწინებს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და კვალიფიკაციის ამაღლებას სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის ათვისებისა და სასწავლო პროცესში დანერგვის კუთხით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულების წარმომადგენლებსა გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ექსპერტთა მიერ გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;



შპს „ბათუმის პროფესიული აკადემიის“ თანამშრომლობა „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან — შპს „ნოვა“-სთან დასტურდება 2026 წლის 22 მაისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით. აღნიშნული ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, კოორდინაციისა და პასუხისმგებლობის საკითხებს პროგრამის პრაქტიკულ ნაწილსა და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე. პრაქტიკის ობიექტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად პასუხობს პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების გამოსამუშავებლად საჭირო მოთხოვნებს.

ამასთანავე, დოკუმენტაციის შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელსა თუ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი შინაარსობრივი და ტექნიკური უზუსტობები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებულია 60 პროფესიული სტუდენტის მიღება სხვადასხვა ობიექტზე, თუმცა პარტნიორის წარმომადგენელთან ადგილზე ვიზიტით და ინტერვიუებით დადგინდა, რომ ობიექტს ერთდროულად მხოლოდ 10 სტუდენტის მიღება შეუძლია.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. აკადემიაში უსაფრთხოება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა “საბაჟო საქმე” განსაკუთრებულ უსაფრთხოების წესებს არ ითვალისწინებს.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით;
2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
3. საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ - სასწავლო გეგმა;
4. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები;
5. პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები.


2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

აკადემიის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ მუხლით რეგულირდება „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება“, დოკუმენტის თანახმად, ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის, ვალიდურობის, სტანდარტულობის, პრაქტიკულობის, გამჭვირვალობის პირობებს; შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეადგინოს მოდულის განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა; შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების ან არ გამოცხადების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი (განმეორებითი) შეფასება მაქსიმუმ 2-ჯერ არაუგვიანეს განმსაზღვრელი შეფასებიდან 10 დღისა, იმ მოდულისათვის, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან არ გამოცხადების შემთხვევაში, იმ მოდულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი (განმეორებითი) შეფასებისა მაქსიმუმ 2-ჯერ პროგრამის დასრულებამდე.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:     

დაწესებულების „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, ვერიფიკაციის პროცესს განახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები, საჭიროების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, აკადემია ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

დაწესებულების დირექტორის ბრძანება N12 მუხლი 34) სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის/მტკიცებულებების შენახვისა და განკარგვის წესი“ განსაზღვრულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის თანახმადაც, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა ინახება აკადემიაში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და ოქმები ინახება უვადოდ. დაწესებულებამ წარმოადგინა ჟურნალი, სადაც ხდება მტკიცებულებებისა და უწყისების აღრიცხვა.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.



დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის“ მიხედვით, სტუდენტთა ინფორმირება მიღწეულ შედეგთან დაკავშირებით) შეფასების შემდეგ სტუდენტები მიიღებენ უკუკავშირის მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს სამი დღისა). პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების შედეგების გაცნობისას ინდივიდუალურად გაუწევენ კონსულტაციას დაშვებული შეცდომებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დასტურდება (მტკიცებულებები):

სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;

„საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებები“

შეფასების უწყისების ნიმუშები;

გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ავტორიზაციის

წევრების





6.09.2026

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავითიძე

12